საქართველოს პურისა და ფქვილის მწარმოებელთა გილდია მხარს არ უჭერს ფქვილის ბიზნესზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადებას

არჩევნები

რას გვთავაზობს ზურაბ ჭიაბერაშვილი

ცესკოს თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეფორმისა და განვითარების კონცეფციის პროექტის პრეზენტაცია გამართა.

როგორც მან აღნიშნა, პროექტის მიზანია ცენტრალური საარჩევნო კომისიის არაპარტიულ, პროფესიულ საარჩევნო კომისიად ჩამოყალიბება. პროექტი ცესკოს დამოუკიდებელ უწყებად გარდაქმნას უზრუნველყოფს, თუმცა კომისიის კვლავ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოდ დარჩენას არ გამორიცხავს.

პროექტის ფარგლებში ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციების შემადგენლობის რაოდენობის შემცირება, ადმინისტრაციის მოხელეთა მომზადება და სერტიფიცირება იგეგმება.

ჭიაბერაშვილის თქმით, პროექტის მიხედვით, ცესკოს შემადგენლობა 15-დან 5 კაცამდე უნდა შემცირდეს. როგორც თავმჯდომარე, ასევე კომისიის წევრები საქართველოს პარლამენტმა უნდა აირჩიოს.

ცესკოსა და ყველა სხვა დონის საარჩევნო კომისიებში წევრთა რიცხობრიობის შემცირება საარჩევნო ადმინისტრაციას არჩევნების პერიოდში 1,5 მლნ ლარის დაზოგვის საშუალებას მისცემს.

ინტერ-პრესი.

გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს

რახან უფლება მოგვეცით, ამიტომ მოგმართავთ

ეს წერილი ჩვენი გაზეთის რედაქციაში მოიტანა ცნობილმა კინორეჟისორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა გია ჭუბაბრიამ და მისი გამოქვეყნება გვთხოვა.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენ, რადგან გვპირდებოდით, რომ ყოველი ჩვენგანისათვის ოჯახის მეგობარი იქნებოდით, თავს უფლებას ვაძლევთ, მოგმართოთ პირადად თქვენ.

რაც ბოლო დროს ჩვენს თავს დატრიალდა, საშინელ სიზმარს ჰგავს. ამჯერად ჩვენ ყველანი ქუჩაში ვართ და მოსპობილი გვაქვს არსებობის ყოველგვარი საშუალება. ეს კატასტროფის ტოლფასია ყოველი ჩვენგანისათვის (არ ვაჭარბებთ).

რატომ ვისჯებით ასე სანიმუშოდ?

ჩვენი ხელისუფალნი და თქვენ პირადად, ბატონო პრეზიდენტო, ალბათ, არასწორად ხართ ინფორმირებულნი. სხვანაირად რით უნდა ავხსნათ ის არნახული აგრესია, რომელიც ჩვენს „ომეგა ჯგუფის" თანამშრომლების მიმართ ხორციელდება უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში? ჩვენს ტერიტორიაზე შეჭრისთანავე ბატონმა გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ აღმოჩენილია დანადგარები, რომლებზეც ყალბი აქციზური მარკები იბეჭდებოდა.

აბსურდული ბრალდებაა!

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდეს!

ანამ ოჯახში გაზაფხული და სიხარული მოიტანა

სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ასპირანტმა ელენე ლეჟავამ და საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსმა იურისტმა ირაკლი ხუცურაულმა 2 წლის წინათ სიყვარულით დააფუძნეს ოჯახი.

2 მარტს თბილისის ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში მათ გოგონა შეეძინათ და ანა დაარქვეს.

— მადლობა ჩემს კოლეგებს, სამშობიარო სახლის დირექტორს, მეან-გინეკოლოგ ამირან ქორიძეს და მთელ მედპერსონალს, რომლებიც პროფესიონალიზმითა და გულისხმიერებით გამოირჩევიან, — მითხრა პირველი შვილიშვილით გახარებულმა ბაბუამ, პირველი კლინიკური საავადმყოფოს გინეკოლოგიური კლინიკის დირექტორმა ნოე ლეჟავამ.

პატარა ანას შეძენას ვულოცავთ ელენეს და ირაკლის.

ნინო ღიბრაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №57 (4786)

ხუთშაბათი, 11 მარტი, 2004 წელი. ფასი 50 თეთრი.

ვიზიტი

განიხილეს ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხები

როგორც ვიუწყებოდით, საფრანგეთში ორდღიან ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 9 მარტს ელისეს სასახლეში შეხვდა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს.

ერთსაათიანი საუბრის დროს პრეზიდენტებმა განიხილეს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაღრმავებისა და განმტკიცების, აგრეთვე, საფრანგეთის მიერ საქართველოსთვის ფინანსური დახმარების საკითხები. საფრანგეთის ლიდერი ქართველ კოლეგას ევროსტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის საქმეში დახმარებასაც დაპირდა.

გუშინ დილით მიხეილ სააკაშვილი შეხვდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს და ცნობილ ფრანგ ფეხბურთელს მიშელ პლატინის.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად გუშინ საღამოს სამშობლოში დაბრუნდა.

საქ. ინფ.

დღის შეკითხვა

უკვე ყველა აღიარებს: კაბალური საგადასახადო სისტემის პირობებში ყველა მეწარმე იძულებული იყო რაღაც ემამაძაღლა, საბიუჯეტო თანხები დაემალა. ახალმა ხელისუფლებამ ამას ხელი მკაცრად მოჰკიდა, ლამის ამნისტია გამოაცხადა, მაგრამ თუ მილიონზე მეტით მოიპარე, უკან უნდა დაყაჭო, არადა — პასუხი მკაცრად აგო.

რა აზრისაა ხალხი?

როგორ უყურებთ დამალული გადასახადების ლეგალიზებას?

მიხეილ ხუციშვილი,
ხელოვნებათმცოდნე:

— საგადასახადო ამნისტიის მჯერა, მაგრამ ის ფული, რასაც გადაიხდიან, ჩვენამდე ვერ მოაღწევს, 99 პროცენტი ისევ იმათ ჯიბეში ჩავა. ეგენი ასე მალე მორჯულდებიან? გრანტები, რომლებიც გადმოურიცხავთ, თქვენთან მოსულა? არც ჩემთან! უცებ არაფერი გაკეთდება. დროა საჭირო. კარგის მოლოდინში ვარ. ღმერთმა ქნას, ყველაფერი მოგვარდეს.

დავით ჩოხელი,
ეკონომისტი:

— ყველაფერი კანონის შესაბამისად უნდა გადაწყდეს. ზეპირი საუბარი არას გვარგებს, საგადასახადო კოდექსი უნდა გამარტივდეს, გადასახადები შემცირდეს. უამისოდ ყველაფერი ძველებურად წავა.

ნელი გელაშვილი,
პენსიონერი:

— ძალიან სწორი და სასურველი ნაბიჯია. მაგრამ ჯერჯერობით საქმე ნელა მიდის. ეს მალე უნდა მოხდეს, ვიდრე ნახევარი საქართველო ციხეში არ წასულა.

გურამ საყვარელიძე,
ბიზნესმენი:

— საბიუჯეტო დავალიანება ერთი ჭირი იყო, სანქცია-საურავები კი — მეორე. ეს უზარმაზარი სანქცია-საურავები უნდა აპატიონ. იმას ვინ გადაიხდის, წელში გაწყდება ხალხი.

ზოგს სჯერა ამ საგადასახადო ამნისტიის, ზოგსაც — არა. ხალხი იმედის თვალით უყურებს მომავალს.

მაია შუბითიძე,
მეგი ღოლობერიძე.

დედაქალაქი

ეს ერთი და სხვა მრავალი...

ბუკიას ბაღი განახლდა

როგორც ვიუწყებოდით, ვაკე-საბურთალოს გამგეობამ 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით მშვენიერი საჩუქარი მოუმზადა ბახტრიონისა და მიმდებარე ქუჩების მცხოვრებლებს, განსაკუთრებით კი, ბავშვებსა და პენსიონერებს.

აქ, მეტროს ჩასასვლელთან არსებული სკვერი, რომელსაც აქაურები ბუკიას ბაღს ეძახდნენ, ბოლო ხანებში გაველანდა, უსახური ჯიხურებისგან გარშემორტყმულ ხეებსაც კი სუნთქვა უჭირდა. შადრევანი, რა თქმა უნდა, არ მუშაობდა, სკამები — დამტვრეული, სასმელი წყლის გარშემო კი ანტისანიტარია იყო. არადა, პენსიონერებს აქ თავშეყრა და სჯა-ბაასი უყვარდათ, ფეხზე მდგომნი ჭადრაკს, ნარდს თამაშობდნენ. დედებს ბავშვებიც გამოჰყავდათ სასეირნოდ.

იხ. მე-8 გვ.

ალავერდი

კომპეტენციის ფარგლები

ის, რაც ამ დღეებში ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში ხდება, ნამდვილად იძლევა შეშფოთების საფუძველს.

უშიშროების სამინისტროს (სამხედრო უწყების!) სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა პროტესტი გამოთქვეს ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის გამო. რამდენიმე დღის წინანდელმა ამ ფაქტმა აქტუალობა დაკარგა.

სამაგიეროდ, გუშინ და გუშინწინ კვლავ ინტენსიურად საუბრობდნენ და დღესაც საუბრობენ შსს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების პროტესტის თაობაზე.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა ხონდულაშვილის თანამდებობიდან გადადგომისა და ვენების გადაჭრის შესახებ. თუმცა, ის 45-დღიან კუთვნილ შვებულებაში წასულა და არც სხეული დაუზიანებია. რას ისამს დასვენების შემდეგ ემოციებისგან განტვირთული და მალამოკრებილი მოსამართლე?

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბავი — მოსამართლის შვებულებაში წასვლა — სკანდალის საფუძველი გახდა. მიზეზი კი 9 მარტს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა — ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახურის უფროსს და ორ გამომძიებელს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა სასამართლოს გადაწყვეტილებით ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებული აჭარელი სტუდენტებისთვის თბილისიდან წასვლის უფლების მიცემის გამო. ანუ, როგორც რაიონულმა სასამართლომ გადაწყვიტა, გამომძიებლებმა სამსახურებრივი გულგრილობა გამოიჩინეს და კომპეტენციის ზღვარს გადააბიჯეს.

იხ. მე-2 გვ.

როცა ურემი გადაბრუნდა

იყიდას ამბორი ნოემბერში

დრო ყველაფერს კუთვნილ ადგილს უჩენს და მტყუან-მართალს განსჯის.

დრო გადაბრუნებული ურემივით გვიან აჩენს გზას.

ზაქარია ქუცნაშვილი ძველი ხელისუფლების საარჩევნო ბლოკში გაერთიანებას ნანობს, რადგან რევოლუციამ მას ერთი რამ დაანახა — ხალხი, ვის გვერდითაც დადგნენ სოციალისტები, მეგობრობასა და ჰუმანურ პრინციპებზე წინ თანამდებობას აყენებდა.

გუშინ — შევარდნაძე კერპი.
დღეს — შევარდნაძე მტერი.

დროსთან ერთად ასე იცვალნენ ედუარდ შევარდნაძის თანაგუნდელები.

იხ. მე-2 გვ.

სპეციალისტის აზრი

არა დამოუკიდებელი ერთეული, არამედ ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი

თბილისსა და ბათუმს შორის უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენები, ბუნებრივია, განგაშს იწვევს. ახლა ბევრი ლაპარაკია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საჭიროებაზე. ეს თემაც დაძაბულობის ახალ კერას ქმნის. ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ექსპერტს, სახელმწიფო უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროების დამსახურებულ მუშაკს, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილეს, გადამდგარ პოლკოვნიკს ტარიელ ვარდანაშვილს.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

იდეა პროვოკაციად ნათელაშვილმა აქცია

„ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის ინიციატივას პურისა და ფქვილის ბიზნესზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადების თაობაზე საქართველოს პურისა და ფქვილის მწარმოებელთა გილდია „მაპროვოცირებელ იდეად" აფასებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გილდიის ერთ-ერთმა ლიდერმა მალხაზ ცისკარიშვილმა განაცხადა, „ლეიბორისტული პარტიის" ლიდერის ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში პურზე ფასი მაინც არ შემცირდება, სამაგიეროდ, ეს ათასობით მცირე და საშუალო მეწარმის ბიზნესის გაუქმებას გამოიწვევს.

გილდიამ ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მიმართა და შესაბამისად დეკრეტის გამოცემა სთხოვა.

ორასმა კაცმა ააჭრელა ქუთაისი

გუშინ ქუთაისის ქუჩები პროკლამაციებითა და პლაკატებით — „როდემდე" — აჭრელდა. აღნიშნული აქცია ქუთაისში ორი თვის წინათ დაფუძნებულმა სახალხო მოძრაობამ „ღირსეული მომავლისათვის" განახორციელა, რომელიც ქუთაისის საკრებულოს და მერიის მთელი შემადგენლობის დათხოვნას და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარებას მოითხოვს.

მოძრაობის წევრები — სულ 200 კაცი, ქუთაისის მერს ნუგზარ ფაღავას და საკრებულოს თავმჯდომარეს დავით ბერიძეს 2002 წლის 2 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებენ.

კაი ფული დაუჯდებათ

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია" წინასაარჩევნო კამპანიისთვის 50-100 ათასი ლარის დახარჯვას გეგმავს. საარჩევნო ფონდში ამ დროისთვის 22 010 ლარია მობილიზებული.

დაიბეჭდება 10 000 პლაკატი და 50 000 ტირაჟით პარტიული გაზეთი.

პარტიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ 28 მარტისათვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე „ლეიბორისტები" ამომრჩევლების ხმების 25 პროცენტს მიიღებენ.

15-დან თუ დათბა, კიდევ არა გვიშავს რა

15 მარტიდან თბილისს შესაძლოა, გაზმომარაგება გაუნახევრდეს. გუშინ „თბილგაზმა" კომპანია „გაზექსპორტისგან" მეორე გაფრთხილება მიიღო.

თბილისის მერიას კომპანიისთვის კუთვნილი თანხა ჯერ არ გადაურიცხავს, შესაბამისად, „თბილგაზი" მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის დაფარვას ვერ ახერხებს.

კომპანია „გაზპრომის" შვილობილმა „გაზექსპორტმა" თბილისს დავალიანების დასაფარად ვადა 15 მარტამდე მისცა. ვალის ოდენობა 7 მილიონი ლარია.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

წუხელ

ევროპის სტადიონებზე

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მერვედფინალური მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„რეალი" — „ბაიერნი" 1:0 (1:1),
„მონაკო" — „ლოკომოტივი" 1:0 (1:2),
„მილანი" — „სპარტა" 4:1 (0:0),
„არსენალი" — „სელტა" 2:0 (3:2).

უკანასკნელ საათს

უსამა ბენ ლადენის ძებნას განახორციელებს საიდუმლო ჯგუფი „ტაქტიკური ქვედანაყოფი 121", რომელშიც შედიან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები, არმიის სპეცჯგუფი „დელტა" და აშშ სამხედრო საჰაერო ძალების საუკეთესო პილოტები. ჯგუფს უხელმძღვანელებს ამერიკის არმიის ლეგენდა ბილ მაკრეივენი.

მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საგარეო დაზვერვის სამსახურის — ისრაელის „მოსადის" ხელმძღვანელს მობილური ტელეფონი მოპარეს. თადარიგის გენერალს მეირ დოგანს ტელეფონი ავტომანქანაში დარჩა, როთაც ისარგებლა ქურდმა.

ამინდი დღეს

თბილისი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +2, დღისით +9
ბათუმი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +4, დღისით +7
სოხუმი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +4, დღისით +8
ფოთი	— ღრუბ. ამინდი. წვიმა.	ღამით +4, დღისით +8
ქუთაისი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +3, დღისით +8
გორი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +2, დღისით +8
თელავი	— ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით +1, დღისით +6

ლარის კურსი

11 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.5439	ლარი
აშშ დოლარი	1	1.9500	ლარი
ევრო	1	2.3942	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0682	ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— მოხუც პენსიონერს არა ჰყავს ნათესავი, რომელიც კანონით ვალდებულია მოუაროს და უპატრონოს მას. იღებს 17 ლარ პენსიას, ისე როგორც თბილისში მცხოვრები მისი კატეგორიის ყველა პენსიონერი. ჰყავს პენსიონერი მეუღლე, რომელიც მუშაობს.

ითვლება თუ არა მარტოხელა პენსიონერად და თუ ითვლება, რა შეღავათით სარგებლობს?

ხათუნა დარჩიაშვილი.

— კანონის თანახმად, მარტოხელად ითვლებიან და სოციალური დახმარება ენიშნებათ იმ პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, არ მუშაობენ, პენსიას იღებენ თვეში 14 ლარის ოდენობით და არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ვინაიდან შეკითხვაში აღნიშნულ პენსიონერს ჰყავს მომუშავე მეუღლე, არ მიეკუთვნება უმწეოთა კატეგორიას, რის გამოც სოციალური დახმარების მიღების უფლებას ვერ იპოვებს და ვერც მარტოხელა პენსიონერებისათვის კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათებით ისარგებლებს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

ბელგიაში მძევლების აყვანის ფაქტი მხოლოდ საოჯახო დრამა აღმოჩნდა. 33 წლის თურქი იარაღის მუქარით შევარდა ანტვერპენის გარეუბანში მდებარე სახლში, სადაც მისი ყოფილი ცოლი და 9 წლის ბიჭი იმყოფებოდნენ. პოლიციის მოსვლამდე თურქმა ბიჭს ესროლა და თავი მოიკლა. ბავშვი რეანიმაციაში მოათავსეს.

აშშ ქალაქ ჩეზაპიკის სასამართლომ „ვაშინგტონელი სნაიპერის" მუჰამედის თანამოსაქმეს ლი ბოიდ მალვოს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა პირობით და ვადამდე გათავისუფლების გარეშე.

დამნაშავეს ახლა უკვე ყურის ანაბეჭდის მიხედვითაც დაადგენენ. ბრიტანელმა მეცნიერებმა შექმნეს კომპიუტერიზებული სისტემა, რომელიც ადამიანის ყურის იდენტიფიცირებას ისევე ადვილად ახდენს, როგორც თითის ანაბეჭდები.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 57. ხუთშაბათი, 11 მარტი, 2004 წელი

ალავერდი

კომპეტენციის ფარგლები

(პირველი გვერდიდან)

ყველას კარგად გვახსოვს უმაღლესი რანგის ჩინოვნიკების კომენტარები ბათუმში „კმარას“ აქტივისტების და თბილისში აჭარელი სტუდენტების დაპატიმრებისა და შემდეგ მათი გათავისუფლების თაობაზე. გვახსოვს თბილისის აეროპორტში განვითარებული მოვლენები და გულისამაჩუყებელი ცერემონიალი ბათუმის აეროპორტში, სადაც „წამებული რაინდებისთვის“ საკადრისი შეხვედრა მოეწყო უმაღლეს დონეზე რეგიონის მასშტაბით.

მოკლედ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ამ პროცესებში ყველაზე აქტიურად მონაწილეთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ „თქმა სჯობს არათქმასა“, მეორე ნაწილის აზრით კი „თქმითაც დაშავდების“.

სწორედ დღევანდელი „ზოგჯერის“ გამოა, რომ მძევლების გაცვლაზე აკეთებდნენ აქცენტს ჟურნალისტები. ალბათ, უნდა გავუგოთ. ყველაფერი ძალიან ჰგავდა სპეცსამსახურებზე გადაღებული ფილმების კადრებს — თბილისმა გაუშვა აჭარელი სტუდენტები, ბათუმმა კი თავისუფლება უბოძა „კმარას“ აქტივისტებს. სად ვცხოვრობთ, ეს არ არის ერთი სახელმწიფო?

მთელ ამ სამართლებრივ აბსურდში კი კანონიერება დაიკარგა. არამკითხე მოამბეების პროცესში ჩართვამ, პოლიტიკოსების შუამდგომლობამ და სარგებლის მოპოვების სურვილმა გაარღვია სამართლებრივი ჯებირები და უსამართლობის მორევში ჩაითრია კანონიცა და სამართალიც.

ყოველთვის ასე ხდება, როცა პოლიტიკურ იწილობიწილოს ეწირება ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვერ ეტევიან თანამდებობის პირები.

ყოველთვის ასე მოხდება, თუკი პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევას და გადაწყვეტილების მიღებას კანონის იგნორირებით შეეცდებიან, დემოკრატიულად სახეცვლილ „სატელეფონო სამართალს“ კი სახელმწიფო ინტერესებით გაამართლებენ.

დიახ, მოხდება, თუკი გაჩუმდებით და გულგრილად მივადევნებთ თვალს ერთგვარ პრემიერ-შოუს სამართლებრივ ველზე, რომელიც წესით კანონებით უნდა იყოს დანაღმული.

თბილისში დააპატიმრეს გამომძიებლები — მათ ბრალდებულები გაუშვეს, ბათუმში კი თავისუფლად დადიან ბრალდებულებიცა და გამომძიებლებიც.

რატომ? იმიტომ, რომ ასეთია პოლიტიკური ნება.

იმიტომ, რომ ამას მოითხოვს დიდი პოლიტიკა.

სასახლის კარის ინტრიგებმა არაერთხელ გათელა სამართლიანობა. ახლაც ამგვარი ინტრიგების მსხვერპლია თემიდა, რომელსაც ერთ ხელში მახვილი უჭირავს, მეორეში კი — სასწორი.

თემიდას თვალები ახვეული აქვს. მაგრამ ჩვენ ხომ ნათლად ვხედავთ, რომ რაღაც ვერ არის კარგად?

თუმცა, რა „რაღაც“, ისიც ვიცით, რაც გვჭირს და რადაც გვჭირს.

სურვილი იყოს, თორემ ამასაც ეშველება.

ბონდო მძინარაშვილი.

ინფორმაცია თემაში

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის დირექტორის კრისტიან შტროჰალის განცხადებით, ქართველმა ძალოვანმა მინისტრებმა ბოლო დროს განხორციელებულ დაპატიმრებებში გარკვეული შეცდომების დაშვება აღიარეს და პირობა დადეს, რომ ყოველთვის კანონის ფარგლებში იმოქმედებენ.

ამის შესახებ შტროჰალმა გუშინ თბილისში ორდღიანი ვიზიტის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ინტერ-პრესი.

როცა ურემი გადაბრუნდება

იუდას ამბორი ნოემბერში

(პირველი გვერდიდან)

ზაქარია ქუცნაშვილი ყოფილ პრეზიდენტს ერთპიროვნულად არ ადანაშაულებს. მისი თქმით, ჩვენს ქვეყანაში პრობლემების მოსაზღვავებლად ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ სააკაშვილმაც საკმაოდ „იღვაწეს“. თქვენ, ალბათ, ახლახან მოუსმინეთ მას ერთ-ერთი ტელეგადაცემის პირდაპირ ეთერში, მაგრამ, ვფიქრობ, ჯვარედინი „დაკითხვით“ ათასჯერ გაწყვეტილი წინადადებების სრულად აღქმა გაგიჭირდებოდათ. მოდით, მივცეთ საშუალება, ისაუბროს ისე, რომ ჟურნალისტიკის ეთიკასა და მოსმენის კულტურაში არ დავაეჭვოთ.

ზაქარია ქუცნაშვილი ძველ ხელისუფლებასთან საარჩევნო ბლოკში გაერთიანებას რომ ნანობს, უკვე ითქვა. ამდენად, საინტერესოა, თავის დროზე რატომ გადადგეს სოციალისტებმა ეს ნაბიჯი.

— ვფიქრეთ, რომ პრეზიდენტს ჩამოსცილდა ის ძალა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა მძიმე ვითარების ჩამოყალიბებაში. დარწმუნებული ვიყავით, რომ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მრავალი პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა დარჩენილ მცირე დროშიც კი. ადამიანები, უპირველესად, ჭირში გამოიცდებიან. რევოლუციის დროს შევარდნაძე გაყიდეს, რათა თანამდებობები ეყიდათ.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ზაქარია ქუცნაშვილი სოციალისტებისა და ხელისუფლების რამდენიმეთვიან თანამშრომლობას ნაყოფიერს უწოდებს და მაგალითად მოჰყავს გარკვეული პროფესიების წარმომადგენლებისთვის ხელფასების მნიშვნელოვნად გაზრდა. მისი თქმით, სოციალისტებს ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვით საქართველოში შექმნილ მდგომარეობაში. მათ ხელთ არ იყო სახელისუფლო ბერკეტები. ცხადია, სახელისუფლო ბლოკში გაერთიანება არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მათ სწორედ ამ სამუშაო ბერკეტებს მოუპოვებდა, მაგრამ ქვეყანა „ხავერდოვნად“ გადატრიალდა.

— რევოლუციის შედეგებით ბევრმა ავანტიურისტმა ისარგებლა. თვალი გვიან აგვეხილა. თეორიულად მაინც უნდა დაგვეშვა, რომ ეს შეიძლებოდა შეთანხმებული თამაში ყოფილიყო და არ უნდა ვქცეულიყავით მსხვერპლად.

ბატონ ზაქარიას მაგიდაზე ხელოვნურ ვარდს ნახავთ. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს ნოემბრის მოვლენების შემდეგ გაბატონებული მოდის გამოვლენაა. მაგრამ ვარდი ამ მაგიდაზე ადრეც იდო, რადგან სოციალისტების სიმბოლოა. კარადის მუქ მუშებს მიღმა მეტალის ვარდიც მოსჩანს, რომელიც ბატონ ზაქარიას აჩუქეს, როგორც საპატიო ახალგაზრდა სოციალისტს. მართალია, ეს ვარდი ოქროსი არ არის, მაგრამ, ჩემი რესპონდენტის თქმით, შინაარსით ძვირფასია.

რაკი სიმბოლოებს შევეხეთ, ისიც ვთქვათ, რომ ზაქარია ქუცნაშვილის სამუშაო მაგიდაზე არა ხუთჯვრიანი, არამედ ძველი, სამფეროვანი დროშა დევს. პარლამენტის აპარატს არ უზრუნია, რომ ჩვენთვის, პარლამენტის წევრებისთვის, განკუთვნილი სიმბოლო შეეცვალათ. თუ ახალ დროშას მოგვაწვდიან, უარს როდი ვიტყვით. მანამდე კი უსიმბოლობას სჯობს, ძველი დროშა გვედოსო, — ამბობს ბატონი ზაქარია.

ედუარდ შევარდნაძის განცხადება ქვეყნის უმაღლესი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, როგორც ჩანდა, ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა. ხალხი ვერ ხსნიდა, რატომ ჰქონდათ მათ გაოცებული სახეები მაშინ, როცა სწორედ ამას მოითხოვდნენ პრეზიდენტისგან. ზემოთ ნახსენებ საინფორმაციო პროგრამის პირდაპირ ეთერში ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ ის პირველად საუბრობს დაფარულ დეტალებზე.

— კრწანისის რეზიდენციაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის შუამავლობით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის გამართული მოლაპარაკება ასეთი შეთანხმებით დასრულდა: შევარდნაძე არჩევნების შედეგებს ბათილად გამოაცხადებდა და ხელახალ არჩევნებს დანიშნავდა 6 თვის შემდეგ, მანამდე, ერთი თვით ადრე კი გადადგებოდა (ჯანმრთელობის გაუარესების ან სხვა საბაბით). მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ედუარდ შევარდნაძე იმავე დღეს გადადგა. ამიტომ იყვნენ ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი გაფითრებულნი და შეცბუნებულნი, მოკრძალებული კომენტარით იფარგლებოდნენ და პრეზიდენტის პიროვნულ ღირსებას უსვამდნენ ხაზს. მათ ის მიიღეს, რასაც არ ელოდნენ. შევარდნაძემ ამ ნაბიჯით ხელისუფლება დაუტოვა იმ ადამიანებს, ვინც მისი მოყვანილი იყო პოლიტიკაში.

რაკი ზაქარია ქუცნაშვილს სატელევიზიო პროგრამის წამყვანები აზრის დასრულების საშუალებას თითქმის არ აძლევდნენ, ჩემი რესპონდენტი დებატებსა და ეთიკაზე საუბრობს. ბატონი ზაქარია საერთო ნაკლოვანებებს ხედავს ბევრ სახელმწიფო მოხელესა და ჟურნალისტს შორის. პირველი, მისი აზრით, დაბალი კვალიფიკაციაა.

— თუ, ვთქვათ, ეკონომიკის საკითხებზე მუშაობ და ეკონომიკის საფუძვლებში მაინც და მაინც ვერ ერკვევი, შენს მიერ დასმული კითხვები ზედაპირული იქნება. მეორე ნაკლი ეთიკური ნორმების უგულებელყოფაა. აქ იგულისხმება არაკორექტულობა, უყურადღებობა, მოსმენის კულტურის უარყოფა... სახელმწიფო სამსახურშიც და მეოთხე ხელისუფლებაშიც წინ წამოიწია არა სამართლიანობის, არამედ პოლიტ თუ ბიზნესჯგუფების ინტერესებმა. სუბიექტურობა ის მესამე ნაკლია, რომელიც ბევრ ჟურნალისტს, შეიძლება ითქვას, აავებს რესპონდენტის მიმართ...

თავად ზაქარია ქუცნაშვილი ჟურნალისტთან ურთიერთობაში იმდენად კორექტული და თავაზიანია, რომ თავს მის მეგობრად იგრძნობთ. ზოგადად ჩემი კოლეგების მიმართ გამოთქმული საყვედურები არ შეიძლება სასიამოვნო იყოს ჩემთვის.

მაგიდიდან ბატონი ზაქარიას შარჟი მიცინის და მარწმუნებს, რომ აქ გულღრძოობისთვის ადგილი არ არის და საყვედურებიც კი მედიის მიმართ კეთილი სურვილების ჩარჩოში თავსდება.

რუსუდან გახარია.

კულტურა

„ქართული ლეგენდა“ — კრემლში

17-18 მარტს ქართული ნაციონალური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ერისიონი“ მოსკოვში, კრემლის სასახლეში მაყურებლის წინაშე უნიკალური შოუთი — „ქართული ლეგენდა“ — წარსდგება.

პროექტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ეს გლობალური საერთაშორისო პროექტი კომპანია „ისტერნ პრომოუშენისა“ და ფრანგი პროდიუსერების ჯიმ ლოუსა და პასკალ ჟორდანის ხელშეწყობით ხორციელდება.

„ქართული ლეგენდა“ ქართული ხელოვნების განვითარების 15 საუკუნეს მოიცავს. ეს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული წარმოდგენაა მსოფლიოში.

მოსკოვის შემდეგ, მაისში „ერისიონის“ კონცერტები თურქეთშია დაგეგმილი, ივნისში — საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიასა და შვეციაში.

კონცერტების ოფიციალური სპონსორი კომპანია „ჯი-ვი-ეს“-ია.

აქცია

მარშრუტი: ბათუმი-თბილისი-ბათუმი

14 მარტს გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარის“ 300-მდე წარმომადგენელი თბილისში ჩამოსვლას და პრეზიდენტ სააკაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრას გეგმავს.

აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალები ბათუმში 15 მარტს დაბრუნდებიან და წინასაარჩევნო კამპანიას გააგრძელებენ.

ფინანსები

დოლარის კურსმა გამყარება დაიწყო

გუშინ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,95 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა.

გუშინ შიდა სავალუტო ბაზარზე გადამცვლელი პუნქტები 1 დოლარს 1,95 ლარად ყიდულობდნენ და 2,00 ლარად ჰყიდდნენ.

მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ კომისია დატოვა

მოძრაობა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე მანანა არჩვაძე-გამსახურდია ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და ამასთან დაკავშირებული მოვლენების ობიექტურად გამოძიებას სთხოვს.

როგორც მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, 1991-93 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენების შესწავლისა და გამოძიების მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი საკითხისადმი საკმაოდ პასიურ და გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს და კომისიის დაარსებიდან დღემდე არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა.

პირველი პრეზიდენტის ქვრივმა ვანო მერაბიშვილს გააქტიურებისა და საქმისადმი დამოკიდებულების შეცვლისაკენ მოუწოდა. „აუცილებელია, სახელმწიფო კომისიამ ყოველკვირეული სხდომები ჩაატაროს, რომელსაც კომისიის ყველა წევრი დაესწრება. სახელმწიფო კომისია წარმოებული გამოძიების შედეგად დაფიქსირებულ თითოეულ ახალ ფაქტს უნდა გაეცნოს და ის საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის შექმნას აზრი ეკარგება“, — განაცხადა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ და დასძინა, რომ კომისიის საქმიანობას, კერძოდ, მერაბიშვილის საქმისადმი დამოკიდებულებას ის პირები განსაზღვრავენ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კანონიერი ხელისუფლების დამხობაში.

ამ პირების დაკონკრეტებისაგან პირველი პრეზიდენტის ქვრივმა თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ ისინი ადრე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ემსახურებოდნენ, დღეს კი ახალ ხელისუფლებაში არიან მოსულნი.

თავად მანანა არჩვაძე-გამსახურდია კომისიას ტოვებს. „არ მსურს, ჩემმა ყოფნამ კომისიაში საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები დაბადოს. გამოძიება უნდა ჩატარდეს ობიექტურობის სრული დაცვით და მასზე არანაირი ზეგავლენის მოხდენას არ ვაპირებ“, — აღნიშნა მან.

1991-93 წლებში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია მიმდინარე წლის 21 თებერვალს შეიქმნა. მასში ახალი ხელისუფლების, ყოფილი უზენაესი საბჭოს, საპატრიარქოსა და საზოგადოების წარმომადგენლები გაერთიანდნენ.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

მაღალ ეშელონებში

მეორე შეხვედრა

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის რეფორმის პროგრამის განხორციელების ფარგლებში საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უკვე მეორედ შეხვდა.

პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აუცილებელია გამჭვირვალობის, ეფექტიანობისა და მთავრობაზე ზედამხედველობის გაძლიერების თვალსაზრისით საკანონმდებლო ორგანოს რესტრუქტურიზაციისა და მისი მუშაობის შედეგიანობის ამაღლება.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა პარლამენტის თავმჯდომარეს განუცხადეს, რომ, როგორც დათქმული იყო, რეფორმის კონკრეტული ეტაპების დასამუშავებლად უკვე შექმნილია მუშა ჯგუფი.

გუშინვე ნინო ბურჯანაძე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს დირექტორს კრისტიან შტროჰალს შეხვდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს პარლამენტის რეფორმასა და წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობაზე.

პარლამენტის პრესსამსახური.

დაფასება

ჯილდოები — ომის ვეტერანებს

გუშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეხვედრა მოუწყვეს და ქვეყნის საპატიო ჯილდოები გადასცეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი ომის მონაწილეებს. მათ, რომელთაც პირნათლად მოიხადეს საპატიო ვალი სამშობლოსა და ერის წინაშე.

— ძალიან მიხარია, აქ რომ გხედავთ, ბევრი თქვენგანი ჩემი უფროსი მეგობარი, ბევრიც ახლობელი ადამიანია. მე ვამაყობ თქვენით. მინდა გითხრათ, რომ სამინისტროს ახალ სტრუქტურაში ვეტერანთა დეპარტამენტი საპატიო ადგილს დაიკავებს, — ასე მიმართა ვეტერანებს მინისტრმა გიორგი წერეთელმა.

სამწუხაროდ, ბევრი რამ, რაც ვეტერანებისათვის იყო ჩაფიქრებული, ისე ვერ სრულდება. ეს ეხება შეღავათებს, სოციალურ დახმარებებს, მაგრამ თქვენ სხვებზე უკეთ იცით ის ობიექტური რეალობა, რომელიც, სამწუხაროდ, ახალ მთავრობას მემკვიდრეობად ერგო. ამიტომ სამინისტროს რეორგანიზაციისას რაღაც სიახლეები უნდა მოვძებნოთ, ბევრ რამეს ახლებურად უნდა შევხედოთ, — თქვა მინისტრმა.

გიორგი წერეთელმა ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებასა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საქართველოში მართლწესრიგის განმტკიცებაში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებულთ ორდენები გადასცა; ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი — **ვარლამ თურქაძეს და ნიკოლოზ ფოფხაძეს**; ღირსების ორდენი — **გივი რევაზიშვილის, ამირიდონ წერეთელს, იუზა რობაქიძეს, გენადი დარსალიას, ალექსანდრე მირცხულავას, კონსტანტინე ლედიაკოვს და გივი ლემონჯავას.**

ვეტერანებმა მინისტრობა მიულოცეს გიორგი წერეთელს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

ბელა ლომთაძე.

გვინდა პრეზიდენტმა იცოდეს

რახან უფლება მოგვეცით, ამიტომ მოგმართავთ

(პირველი გვერდიდან)

ჩამოსულმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ევროპაში არსებობს მხოლოდ 4 ქალაქი, რომელთა სტამბებშიც ტექნიკურად შესაძლებელია მარკებისა და ფასიანი ქაღალდების დაბეჭდვა. ბრალმდებლებს ეს უნდა სცოდნოდათ! ე. ი. ასეთი მძიმე ბრალდება უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ასევე უსაფუძვლო აღმოჩნდა კონტრაბანდული საქონლის ძიება ჩვენს ტერიტორიაზე.

ვინ აგებს პასუხს ამ უმძიმეს ბრალდებებზე?

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ „ომეგას“ ბიზნესში გარკვეული დარღვევები არ იქნებოდა. მახინჯი საგადასახადო სისტემა, სახელმწიფოში არსებული განუკითხაობა და ბევრი სხვა ფაქტორი შეუძლებელს ხდიდა ბიზნესის ნორმალურად წარმართვას და თუ ბიზნესი მაინც დადგა ფეხზე (არ ვგულისხმობ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი საქმიანობა ხალხის ძარცვის ფასად ააწყეს), სახელმწიფოს მხრიდან მათ უდიდესი პატივისცემა და მხარდაჭერა ეკუთვნით.

ბატონ ზაზა ოქუაშვილს სახელმწიფოსაგან არავითარი სესხი არ აუღია, ამ ხნის განმავლობაში შექმნა არაჩვეულებრივი სტამბა, სიგარეტის ფაბრიკა, „ომეგა მოტორსი“. ყოველი მათგანი მსოფლიოს უმაღლესი სტანდარტების დონეზეა შექმნილი. ნებისმიერ ადამიანში, ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს (თუ შურით და ბოღმით არაა შეპყრობილი), მათი ნახვა სიამაყის გრძნობას უნდა იწვევდეს. აბსოლუტურად ვეთანხმები ქალბატონ ნაირა გელაშვილის მიერ გაზეთ „24 საათში“ ახლახან მოყვანილ მოსაზრებას, რომ მხოლოდ მას, ვისაც თავის სიცოცხლეში არაფერი შეუქმნია, შეუძლია ერთი ხელის დაკვრით დაანგრიოს შექმნილი.

იმან, რაც მოხდა, უკვე უდიდესი ზიანი მიაყენა ბიზნესს. ძალიან ბევრ უცხოელ ბიზნესმენს დაბანდებული აქვს სოლიდური ინვესტიციები „ომეგა“ ბიზნესში. ისინი მას ძალზე საიმედო და სასურველ პარტნიორად მიიჩნევდნენ აქამდე.

ვის აძლევს ხელს „ომეგა ჯგუფის“ მიმართ განხორციელებული უსამართლობა? არც ერთ სხვა ბიზნესს არ შეეხო ასეთი დარბევა და ამისათვის მადლობა ღმერთს, მაგრამ რატომ ჩვენ? თუ „ომეგა ჯგუფი“ რაღაცის გამო ისჯება? რის გამო? ზარალდება ბიზნესი, ზარალდებიან თანამშრომლები, ზარალდება საქართველო.

ვინ რჩება მოგებული?

კორუფციასთან ბრძოლა ჩვენ წარმოგვედგინა, როგორც ბრძოლა ჩინოვნიკების მიმართ, რომელთაც გამოხრეს ქვეყანა, თუმც არავითარ სიამოვნებას არ გვანიჭებს ტელეეკრანებზე მათი დაპატიმრების სცენების დანახვა. რაც შეეხება ბიზნესმენებს, რასაკვირველია, უნდა შეიქმნას, როგორც გვპირდებოდით, ნორმალური ბიზნესგარემო და შემდეგ მოეთხოვოს მთელი სიმკაცრით ყველას.

სხვანაირად ქვეყანა ვერ აშენდება. შეიძლება კი მოხდეს პირიქით!

ბატონო პრეზიდენტო, შიმონ პერესი თქვენდამი მოწერილ წერილში მოთმინებასა და სიბრძნეს გირჩევდათ.

მეც მინდა, რომ თქვენს ახალგაზრდულ შემართებას სიბრძნეც დაუმატოთ, ძალიან ბევრმა ჩვენი თანამშრომლებიდან თქვენ მოგცათ ხმა.

ძალიან გვინდა იმედები არ გაგვიცრუვდეს!

ულრმესი პატივისცემით,

ლეილა გაბუნია-ჭუბაბრია,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

სპეციალისტის აზრი

არა დამოუკიდებელი ერთეული, არამედ ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი

(პირველი გვერდიდან)

— ცოტა შორიდან დავიწყებ. დიდი გულისტკივილით ვადევნებ თვალს უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, როცა მავანნი, შეგნებულად თუ წინასწარი შემეცნების გარეშე, ძაბავენ ისედაც არამარტივ ურთიერთობას ცენტრსა და რეგიონს შორის (მხედველობაში მაქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ამჯერად „განხეთქილების ვაშლად“ იქცა სახელმწიფოს უშიშროების სამსახური, თუმცა თავიდან მივყვეთ.

1992 წლის მაისიდან წინა ხელისუფლებამ დაიწყო უშიშროების სამსახურის თანდათანობით ნგრევა, რაც იმის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა, რომ ქვეყანა დარჩა წინმსწრები ინფორმაციის გარეშე აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ. საბჭოთა საქართველოს უშიშროების კომიტეტის ბევრ მუშაკს ყველა სახის ბრალდება შეიძლება წაუყენო, მაგრამ არავის არ მოუტრიალდება ენა, რომ მათ კორუმპირებულობა დააბრალოს. პირდაპირ გეტყვით: მრავალი მათგანი საქართველოს ეროვნული ინტერესების დიდი დამცველი და პატრიოტულად განწყობილი იყო. მაგალითად, იმ პერიოდის მინისტრი ბატონი ანზორ მაისურაძე ჩემთვის დღესაც სამშობლოზე შეყვარებული კაცის ეტალონია.

1990-იანი წლების უშიშროების სამინისტრო ემსახურებოდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, ატარებდა მრავალ აქტიურ ღონისძიებას ქვეყნის გარეთ, მისი მრავალი თანამშრომელი მონაწილეობდა ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში და ა. შ. მაგალითად, 1992 წლის აპრილში უშიშროების სამინისტრომ სახელმწიფო მეთაურს მოახსენა იმის შესახებ, რომ აფხაზეთში მკვეთრად გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობა და შევთავაზეთ ჩვენი და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ერთიანი მოქმედების პროგრამა. საპასუხოდ მივიღეთ ის, რომ დაგვაბრალეს, „აქ ვიღაც-ვიღაცეებს აფხაზეთში სეპარატიზმი ელანდებაო“, თანაც ამ სიტყვებმა ღია ეთერში გაიჟღერა.

მას შემდეგ უშიშროების სისტემამ მრავალი ხელმძღვანელი გამოიცვალა და ახალ-ახალი კადრებით შეივსო, გაუთავებლად მიმდინარეობდა რეფორმები.

საუბედუროდ, ამას ახორციელებდნენ არაპროფესიონალები და თანაც მერკანტილური მოტივებით. შედეგად მივიღეთ კორუმპირებული, „კასტრირებული“ და მოსახლეობაში არაპოპულარული სისტემა. მტკიცებულებებიც ხელისგულზე დევს: გადახედეთ იმდროინდელი ხელმძღვანელი მუშაკების სრასახლებს, ზღვად გამსკდარ ქონებას და ა. შ.

ქვეყანა პარტახდებოდა, იძარცვებოდა, ეფლობოდა კორუფციის ჭაობში, ხელისუფლების მრავალი წარმომადგენელი კი არაფერს ერიდებოდა და მდიდრდებოდა. უპირველესად ვის უნდა აეტეხა იმ დროს განგაში? რა თქმა უნდა, უშიშროების სამინისტროს, თუმცა?..

წინა ხელისუფლება იმდენად ძირმომპალი და სუსტი იყო, თავიც კი ვერ დაიცვა და მიხეილ სააკაშვილმა „ერთი ვარდით“ გარეკა ისინი პოლიტიკური არენიდან. მასმედია, „საქართველოს რესპუბლიკის“ მრავალი ავტორი (მათ შორის თქვენი მონამორჩილიც), 1998 წლიდან დაწყებული საქართველოს პრეზიდენტს აფრთხილებდნენ, თუ რა დამღუპველ შედეგამდე მიგვიყვანდა კორუფციული პროცესები, აყენებდნენ წინადადებებს და ა. შ. მაგრამ ხელისუფლება იმ სამი მაიმუნის პოზაში დადგა, რომლებსაც არაფერი ესმოდათ, ვერც ვერაფერს ხედავდნენ და არც არაფერს ლაპარაკობდნენ, თუმცა ძირითად სათქმელს დავუბრუნდეთ.

მოხდა რევოლუცია, აუცილებელი გახდა სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობდა მის გამარტივებას, გარდაქმნას და ა. შ. გაერთიანდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მას ჩამოერთვა ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქცია, ანუ გარდაიქმნა, ასე ვთქვათ, „სუფთა“ სპეცსამსახურად. ის, თუ რამდენად უნდა ერქვას მას სამინისტრო, საუბრის სხვა თემაა, მაგრამ, დამისახელეთ ერთი მოწინავე ქვეყანა მაინც (მაგალითად, შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, თუნდაც რუსეთი და ა. შ.) სადაც სპეცსამსახური არის სამინისტრო და შედის აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სპეცსამსახური ექვემდებარება მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას.

საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ თავდაცვისა და უშიშროების ფუნქცია ფედერალური ხელისუფლების გამგებლობაშია და ეს საკამათო არ არის. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ამ სამინისტროების სტრუქტურები, უპირველეს ყოვლისა, ვერტიკალურ დაქვემდებარებაში უნდა იყვნენ, ამასაც ვერავინ, მათ შორის, აჭარის უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელები არ უარყოფენ. ამ შემთხვევაში რა გამოდის? სამინისტროში არის სამინისტრო და თუ საგნებს თავის სახელით მოვიხსენიებთ, ის ასე უნდა დავაფიქსიროთ: არის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო. ეს ხომ აბსურდულად ჟღერს: რა დაშავდება ან რა შეიცვლება იმით, რომ აჭარის უშიშროების სამინისტროს ერქვას „დეპარტამენტი“? აჭარაში ხომ არ არსებობს თავდაცვის ან საგარეო საქმეთა სამინისტროები, ან აჭარის ეროვნული ბანკი, ამაზე ხომ არავინ არ კამათობს?

მაგალითად, როცა სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურები იქმნებოდა, გენერალმა ვალერი ჩხეიძემ, როგორც პროფესიონალმა, მიიღო ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილება: აჭარაში შეიქმნა „სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონალური სამმართველო“. განა ეს სტრუქტურა, რომელსაც გენერალი თენგიზ კონცელიძე ხელმძღვანელობს, არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას?

შევაჯამებ: **აჭარის ავტონომიას დიახაც სჭირდება უშიშროების სტრუქტურა, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი ერთეული — სამინისტრო, არამედ როგორც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთი რგოლი.**

საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ მისი კონსტიტუციური მოვალეობაა (და არამარტო უფლება) აკონტროლოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობაში არსებული საქმიანობის ყველა ასპექტი და არცერთხელ განუცხადებია, რომ ჩაერევა ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობაში არსებულ საკითხებში, ეს ეხება განათლებას, კულტურას, მედიცინას და ა. შ. რა არის ამაში არაბუნებრივი?

ამ შემთხვევაში დეტალურად არ შევეხები იმათ, ვინც, ჩემი აზრით, ამღვრევს წყალს ცენტრსა და რეგიონს შორის. ეს დიდი თემაა, დიდი პრობლემებით, მაგრამ, ჩემი ხელით „ამოვგლეჯდი ენას“ იმას, ვინც ბატონ ასლან აბაშიძეს მოახსენა იმის შესახებ, რომ ქალბატონი ირმა სოხაძე, რომელიც ყველა ქართველში იმ პაწაწინა გოგონას ასოციაციას იწვევს, წკრიალა ხმით რომ ხიბლავდა საქართველოს, დღეს კი უადრესად ღირსეული ხელოვანი და ქალბატონია, მონაწილეობს აჭარაში ჯარების შემოყვანაშიო, ისიც დიდ მკრეხელობად მიმაჩნია, რომ ბატონ ასლან აბაშიძეს ნარკობიზნესის მფარველობაში ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე დასდო ბრალი და აფიქსირო, რომ „საქართველოში შვიდი ნარკოტბაზა არსებობსო“. ყველაფერს, თავი რომ გავანებოთ, ეს საქართველოს მტრების წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასი ქმედებაა და ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამ ინფორმაციის ავტორებზე მონიშნებით საერთაშორისო ანალიტიკურმა ცენტრებმა საქართველო ნარკობიზნესში „მოწინავე“ ქვეყნებს (კოლუმბია, ავღანეთი და ა. შ.) შორის დაასახელონ. მაგრამ ეს საუბრის სხვა თემაა.

ცენტრსა და რეგიონს შორის დამოკიდებულება უაღრესად სათუთი თემაა, მით უმეტეს ახლა, როცა საქართველომ აღმასვლა უნდა დაიწყოს და ყველამ, მათ შორის პრესისა და ელექტრონულ ინფორმაციათა საშუალებებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა ვითარება კი არ დაძაბონ, არამედ ახსოვდეთ, რომ „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. და როცა აჭარის პრობლემებზე ესაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს აფხაზეთიც.

ჩაიწერა
ალეკო ასლანიშვილმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ტკივილი

იქნებ აფხაზეთში დაბრუნება მთლად ილუზია არ არის?

გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოსა და აფხაზეთის იუსტიციის საბჭოს წევრი ვახტანგ თორდია

— ბატონო ვახტანგ, სასამართლო რეფორმა საქართველოში მიმდინარე რეფორმათა შორის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმადაა აღიარებული. ხუთი წელია, რაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საერთო სასამართლოები, საპროცესო და სპეციალური კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე დევნილი მოსახლეობის მიმართ მართლმსაჯულებას ახორციელებს. თუმცა, ხუთი წელი, ალბათ, მაინც არ არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იყოს რადიკალური გარდაქმნების მოხდენა...

— მართალია, ხუთი წელი არც ისე დიდი პერიოდია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ ჩამოყალიბდა. პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა კატაკლიზმების ზეგავლენის მიუხედავად, შეიქმნა დამოუკიდებელი და შეუვალი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები. ყოველივე ეს საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის დამსახურებაა, რომელიც ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმათა შორის, მართლაც, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. მინდა აღვნიშნო, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ჩატარებულ ევროპის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა შეხვედრაზე, უკრაინის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვიტალი ბოიკომ საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა პოსტსაბჭოურ სივრცეში განხორციელებულ ყველაზე წარმატებულ სასამართლო რეფორმად შეაფასა. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სამწუხაროდ, საზოგადოებრივ ცნობიერებაში სასამართლო ხელისუფლების მიმართ უნდობლობა ტრადიციულად არსებობს. თითოეული ჩვენგანის მოვალეობა არა მხოლოდ სასამართლო საქმიანობის განხორციელება, არამედ ამ უნდობლობის გაქარწყლებაც არის.

ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთის საერთო სასამართლოებში 16077 საქმეა შემოსული, აქედან განხილულია 15613. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 13 მოსამართლე მივლინებული იყო (მათი უმრავლესობა დღესაც მივლინებულია) საქართველოს სხვადასხვა სასამართლოებში. მათ მიერ განხილულია როგორც სისხლის სამართლის, აგრეთვე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეებიც.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შარშან სასამართლოს აპარატის მუშაკთა ატესტაცია და კონკურსი ჩატარდა. კონკურსის შედეგად კომპეტენტურმა კომისიამ პრეტენდენტთა შორის საუკეთესონი შეარჩია. ამდენად, უმაღლესი სასამართლოს მოხელეთა 90 პროცენტზე მეტი შერჩეულია კონკურსის წესით.

— ბატონო ვახტანგ, მიღებულია კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურების, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ. საკადრო ცვლილებებთან ერთად აღმასრულებელ ხელისუფლებაში სტრუქტურული ცვლილებებიც განხორციელდა. რა ბედი ელის აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, მის სტრუქტურებს, როგორი გარდაქმნა არის შესაძლებელი? ცოტა გაუგებარია, როცა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში ნაკლები სამინისტროა, ვიდრე ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობაში.

— სხვათა შორის, ამ საკითხზე თავის დროზე შესაბამისი პროექტებიც მომზადდა, რაც იმედია, ამჯერად მაინც განხორციელდება. მინდა აღვნიშნო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლებას ეს ყველაფერი გაკეთებული აქვს. გარწმუნებთ, ჩვენი სასამართლო ხელისუფლება თავკომბალას როლში ნამდვილად არ არის. იგი საქართველოს ყველა რეგიონშია განლაგებული. კარგი იქნება, თუ ანალოგიური სტრუქტურული განლაგება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებასაც ექნება, რათა ისინი დევნილ მოსახლეობასთან უფრო ახლოს იყვნენ. ამასთან, კარგი იქნება, თუკი რეგიონებში დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლობითი ორგანოებიც გვეყოლება. ვფიქრობ, აფხაზეთის კონფლიქტის სამართლიანი გადაჭრის სტრატეგიისა და ტაქტიკის ჩამოყალიბების პროცესში, ეს უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

— საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი აშშ-ში დიდი წარმატებით დასრულდა. ამერიკელები გვპირდებიან 200 მილიონით დაფინანსებას. ქართულ საზოგადოებას იმედი აქვს, რომ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს არც თეთრი სახლის ადმინისტრაციასთან და არც რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება არ გაუჭირდება. ცხადია, რაც უფრო მეტ საერთოს მოძებნის ჩვენი პრეზიდენტი რუსეთთან, აფხაზეთის საკითხს მშვიდობიანი გზით, მით უფრო ადვილად მოაგვარებთ. როგორ ფიქრობთ, იქნებ მთლად ილუზია არ არის ზოგიერთების ოპტიმიზმი, რომ რუსეთმა და ამერიკამ შესაძლოა ერთმანეთში მოილაპარაკონ და ჩვენ „ვარდების რევოლუციით“ აფხაზეთშიც შევიდეთ.

— საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის შემართება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მისი ზრუნვა ქვეყნისთვის პრიორიტეტად იქცა. ბატონ მიხეილ სააკაშვილის პრინციპული პოზიციები როგორც რუსეთის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, დიდ იმედებს გვისახავს. ვფიქრობ, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესს, ბოლოს და ბოლოს, ერთიანი სტრატეგია, ერთიანი კონცეფცია ეღირსება, რაც უახლოეს პერიოდში ამ კონფლიქტის მოგვარებისთვის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი გახდება. ეს აუცილებელია, რადგან ორმაგი სტანდარტებით, ილუზიებით სიარულმა თუ რა შედეგიც მოგვიტანა, კარგად დავინახეთ.

ესაუბრა
მზია გელენავა.

კომპეტენტური აზრი

ვიცხოვროთ თანაბრად — მთაშიც და ბარშიც

ბიოგეოკლიმატური პირობების გათვალისწინებით საქართველოში ოდითგანვე ყალიბდებოდა თითოეული მხარის შესატყვისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა, მეურნეობის ტიპი და ფორმა, რომლებიც, ბუნებრივია, არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან შრომის საგნების, წარმოების საშუალებებისა და სხვა ფაქტორების მკვეთრად განსხვავებულობის გამო. განსხვავებული იყო თვით შრომის შედეგებიც. მთის რაიონები მუდამ ჩამორჩებოდა ბარის რაიონებს ეკონომიკური განვითარების დონით. თუმცა როგორც მთას, ისე ბარს, მათთვის განსაკუთრებული ფუნქცია და ადგილი ჰქონდა ისტორიულად მიჩენილი.

საქართველოს დამოუკიდებლობამ უწინარეს სარეალიზაციო ამოცანათა შორის მთისა და ბარის ისტორიული ფუნქციის აღდგენა, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების საკითხი დააყენა. ამ მიმართულებით გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, მაგრამ, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი ორგანოების ძალისხმევის მიუხედავად, რეგიონთა შორის, აგრეთვე, მთასა და ბარს შორის განვითარებაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების დაძლევა და მათი გაწონასწორებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესრულებული გამოკვლევები და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი დაკვირვების მასალებიც ადასტურებენ.

ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულება — რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა — ორიენტირებული უნდა იყოს რეგიონების მიმართ დიფერენცირებული მიდგომების განხორციელებაზე, რაც აისახება ქვეყნის ეკონომიკური გაერთიანების როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური მიზნების ფორმირებასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფაში.

ტერიტორიულ ერთეულებში არსებული განსხვავებული ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრების მიზნით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის განვითარებისთვის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი საფინანსო რესურსების, გრანტების, შეღავათიანი კრედიტებისა და სხვა დახმარების სწორად წარმართვასა და რაციონალურ გამოყენებას. ამავე მიზნით პრიორიტეტული უნდა გახდეს ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური და სახელმწიფო რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბიუჯეტო შემოსავლების რეგიონთა შორის გადანაწილების სისტემის სრულყოფას, რადგან სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულთან მიმართებაში ამჟამად მოქმედი ნორმატივები (სახელმწიფო გადასახადებიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში მიმართული ანარიცხები) არაოპტიმალური და არამართლზომიერია. იგი გაუმართლებელ შეღავათებს ანიჭებს ცალკეულ რეგიონებს და ამით მნიშვნელოვნად ზღუდავს როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების შესაძლებლობებს რიგი სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების მოგვარების საქმეში. ამდენად, საჭიროა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტრუმენტების სრულყოფა, ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვითი ნაწილის მინიმალური დონის დადგენა და სტაბილური შემოსავლებით ხარჯების უზრუნველყოფის (დაფარვის) პრინციპების სრულად გათვალისწინება.

სხვადასხვა რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების სამართლებრივ დონეზე განხორციელების მიზნით საჭიროა შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება, რომლებითაც მოწესრიგდება ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობისა და, რაც მთავარია, მუნიციპალურ (ადგილობრივ) საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის, სარგებლობის (იჯარით გაცემის) და სხვა საკითხები, რომლებიც საგრძნობლად შეუწყობენ ხელს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირების საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული ბაზის განმტკიცებასა და მათი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რეგიონებში არსებული რესურსების საწარმოო-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოტენციალის გამოვლენა და მათი რაციონალური გამოყენებაა.

ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს კერძო მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების სტიმულირებს, მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრისა და მისი გარანტირებული ფულადი შემოსავლების უზრუნველყოფას ადგილობრივი საწარმოო და შრომითი პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე. ამ მიზნით საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა რეგიონებში არსებული მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების ათვისებისა და სამეურნეო ბრუნვაში მოსაქცევად, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად და სხვ.

მიგვაჩნია, რომ რეგიონებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების თანდათან დაძლევა, განვითარების დონეთა გათანაბრება ამ რეგიონებში შრომითი და სამეწარმეო აქტიურობის ამაღლების ხელშემწყობი პირობების შექმნის გზით უნდა ხორციელდებოდეს. ამ თვალსაზრისით გარკვეულ მხარდაჭერას მოითხოვს ცალკეული რეგიონების დეპრესიული ტერიტორიული ერთეულები, მათ შორის, მთის და მაღალი მთის რაიონები, სადაც მოსახლეობის ცხოვრების შედარებით მძიმე პირობებია. აქ მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შეჩერების აუცილებლობიდან გამომდინარე, ხელისუფლება პრიორიტეტული მხარდაჭერის ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა ახორციელებდეს. ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უთუოდ შეუძლია გარკვეული გარდატეხის შეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ქაღალდზე რჩება. ასე, მაგალითად, 2001 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დროული და საჭირო კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, მაგრამ საბიუჯეტო შემოსავლების სფეროში არსებულმა ქრონიკულმა გარღვევებმა შეუძლებელი გახადა მისი სრული ძალით ამოქმედება და ადგილზე ვითარების გაჯანსაღება.

პაატა კოღუაშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
(დასასრული შემდეგ ნომერში).

მხარე

რუსთავი სიახლეთა მოლოდინშია

რუსთავის კარიბჭესთან, საქართველოს ეროვნული გმირის ქიული შარტავას გამზირის დასაწყისთან, ჯუმბერ ჯიქიას მონუმენტურმა სკულპტურამ „ცხენებმა“ ქალაქისათვის უკვე შეიძინა სიმბოლური ხასიათი. იგი მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის ხელახალი აღორძინების, ნათელი მომავლისკენ სწრაფვის შემართებით ამხნევებს და მომავალშიც გაამხნევებს თაობებს.

თუმცა განვლილმა ათწლეულმა მრავალი მოუშუშებელი იარა დაუტოვა ქალაქს. ჯართომანიით გაწაფულმა ვაითანამოქალაქეებმა მილიონობით ლარის ღირებულების უნიკალური მოწყობილობა-დანადგარები და ქარხნებიც კი ხელთ ისე გაიყოლეს, ქალაქს ერთი ლარის სარგებელიც არ უნახავს.

რად ღირს თუნდაც „ქიმბოჭკოს“ ტრაგედია, სადაც ოთხიათასამდე ადამიანი მუშაობდა და მზადდებოდა ძვირფასი, მსოფლიო ბაზარზე ღირებული პროდუქცია. დღეს იგი ნანგრევებადაა ქცეული, და განა მარტო „ქიმბოჭკო“!

ვარდების რევოლუციამ, რომელშიც რუსთაველებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, ახალი ცხოვრების საფუძველი უნდა ჩაუყაროს ჩვენს ქალაქს. უკეთესი მომავლის მოიმედე რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი კი ქალაქისთვის „ახალი სისხლის გადასხმას“ გვპირდება.

— რუსთავი, — ამბობს ის, — ხელახლა უნდა ავაღორძინოთ, ამისთვის ყველა პირობა, მყარი საფუძველი არსებობს. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ მრეწველობის განვითარების სამწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომელიც ახლა პრემიერ-მინისტრთანაა. მას მალე პრეზიდენტსაც გავაცნობთ. ეს გეგმა მეცნიერ-ეკონომისტებთან და სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად დამუშავდა და ეს გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ შედეგსაც მივიღებთ.

— ამჯერად ბერძნულ ვოიაჟთან დაკავშირებით გეწვიეთ. რა შედეგებით და სიახლეებით დაბრუნდით?

— გვქონდა ფრიად საქმიანი შეხვედრები. ჩემთან ერთად იყვნენ წყალტუბოს მერი, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. ჩვენ იქ გავეცანით საბერძნეთის მუნიციპალიტეტების მართვის სისტემას, ბევრი რამ მოგვეწონა და ზოგიერთის გადმოღებასაც ვაპირებთ. კერძოდ, დეცენტრალიზაციის საკითხებმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების სრულყოფილ მეთოდად გვესახება პროექტი, რომლის განვითარებისათვის ევროკავშირმა საბერძნეთს ერთი მილიონი ევრო გამოუყო. ეს არის ერთგვარი საბანკო ტიპის სისტემა, სადაც მოქალაქე თავის საჩივარს შეიტანს. ამის შემდეგ მას არ დასჭირდება სამინისტროებში თუ სხვადასხვა ზემდგომ ინსტანციებში სირბილი. ამ ამოცანას ჩვენს პირობებში მუნიციპალიტეტი გადაწყვეტს. ათი დღის ვადაში მოქალაქე სასურველ პასუხს, გადაწყვეტილებას მიიღებს და ეს იქნება სრულიად უსასყიდლოდ. ეს ერთი მაგალითია, იმ მრავალ საკითხთაგან, რომელსაც ვიზიტისას შევეხეთ. მოხდა აზრთა გაზიარება მთელ რიგ სფეროებში. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს საელჩოს თანადგომით, ახლო მომავალში საბერძნეთის ერთ-ერთ ქალაქთან მოგვიწევს დაძმობილება. ამავდროულად, სულ მალე საჩუქრად მივიღებთ 10 ტროლეიბუსს, რაც ჩვენი გაღარიბებული სატროლეიბუსო პარკისათვის ხსნა იქნება.

ჯუმბერ ჯიქია, „ცხენები“.

ჩვენი ვიზიტის დროს, ბერძნებისაგან საქართველოს საზღვაოსნომ ქვეყნისთვის ფრიად საჭირო საჩუქარი მიიღო. ეს არის საბრძოლო-საპატრულო კატარღა, რომელსაც მალე ვიხილავთ ფოთის პორტში.

ეს ყველაფერი დიდი მეგობრობისა და კეთილგანწყობის დასაწყისია. უახლოეს ორ-სამ თვეში ჩვენს დელეგაციას კვლავ მოუწევს მორიგი ვიზიტი საბერძნეთში. ამჯერად უშუალოდ ჩავალთ იმ ქალაქში, რომელიც ჩვენთან დაძმობილებას გადაწყვეტს. საბერძნეთთან ურთიერთობა ფრიად სასიკეთო იქნება ჩვენთვის. მოგეხსენებათ, ევროკავშირი ამ ქვეყნისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს და ანალოგიური პერსპექტივა ჩვენს ქვეყანასაც გაუჩნდება. მით უმეტეს, საბერძნეთმა სულ ახლახან გაიარა ის გზა, რასაც ჩვენ, ჩემი ღრმა რწმენით, ამ გარდამავალ პერიოდში უკეთესად დავძლევთ.

— ნათქვამია — სტუმრად კარგია, შინ უკეთესიო. მოდით, კვლავ რუსთავის პრობლემებს დავუბრუნდეთ, მისი მრეწველობის ახლანდელ და მომავალ სახეს. რა პროცესები მიმდინარეობს სს „აზოტსა“ და მეტალურგიაში?

— გარკვეული დროის მანძილზე მიმდინარეობდა და დასრულდა სს „აზოტის“ კაპიტალური შეკეთება. მალე პროდუქციის წარმოებაც განახლდება. რაც შეეხება მეტალურგიას, იქაც იყო გარკვეული პრობლემები. ჩვენ მხარს ვუჭერდით და კვლავაც გვერდში დავუდგებით იტალიელ ინვესტორებს, რომლებმაც საწარმოში მილების გლინვა განაახლეს. მეტალურგებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათ დიდი პოტენციალი აქვთ. ჩვენმა ინჟინრებმა — პროფესიონალთა დიდმა არმიამ, მუშებმა შრომითი თავდადების მაგალითი უჩვენეს. ურთულეს პირობებში რამდენიმე ათეული ათასი ტონა სხვადასხვა პროფილის მილები დაამზადეს და მიაწოდეს მომხმარებელს. ეს დიდი განაცხადია. თუმცა პრობლემები აქაც წარმოიქმნა. ქვეყნის ხელისუფლება, ქალაქის ადმინისტრაციასთან ერთად, ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს მას შემდეგ, რაც იქ საგამოძიებო სამუშაოები დასრულდება. თუმცა ამით იტალიელ ინვესტორებს არავითარი პრობლემა არ შეექმნებათ, კომბინატი შეუფერხებლად იმუშავებს.

გივი ჯახუა,
„სრ“ საკ. კორ.

ტრაგედია

ფრთხილად: ქუჩაში პოლიციელები დადიან!



შს სამინისტროს ინფორმაციით, გუშინ დაახლოებით 03.00 საათზე პოლიციელებსა და ახალგაზრდებს შორის მომხდარი შეტაკებისას გულმკერდის არეში დაიჭრა 25 წლის მოქალაქე ანტონ კუკულავა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე დაიღუპა.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, პოლიციელები ზურაბ წერეთელი, აკაკი ჭარბაძე, გიორგი კაშია, პაატა კვიატკოვსკი და ნოდარ ზიზიაშვილი ავტომანქანით ოპერატიულ შემოვლას ახორციელებდნენ, როცა მარჯანიშვილისა და ჩიტაიას ქუჩების გადაკვეთაზე სამი ახალგაზრდა შენიშნეს. ახალგაზრდები ერთმანეთში კამათობდნენ. პოლიციელთა მიახლოებისას ერთი ახალგაზრდა გაიქცა. პოლიციელთა მოთხოვნაზე, შეჩერებულიყო, ის მოტრიალდა და სამართალდამცველთა მიმართულებით ორჯერ გაისროლა. პოლიციელებმა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა მოახდინეს, რაზეც მან კვლავ სროლით უპასუხა. საპასუხო სროლის შედეგად ანტონ კუკულავა გულმკერდის არეში დაიჭრა.

შემთხვევის ადგილზე 22 წლის კარლო ბარამიძე დააკავეს. ამოღებულია საფანტის სისტემის „ვოლკრანის“ ფირმის ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდითა და ერთი ვაზნით, ასევე — „ლუგერის“ სისტემის 4 ვაზნა.

მომხდარს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა იძიებს.

შემთხვევა

კიდევ დაჭრეს, იარაღიც წაართვეს და მიიმალნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დღეს დილით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ბინის გაქურდვის მიზნით მყოფ პირთა დასაკავებლად მისული სამი პოლიციელი დაჭრეს.

როგორც სამინისტროში განაცხადეს, დაახლოებით 08.30 საათზე დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს პირველ განყოფილებაში ბინის გაქურდვის მცდელობის შესახებ სატელეფონო შეტყობინება შევიდა. პოლიცია მითითებულ მისამართზე გავიდა. ბინაში მყოფმა სამმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ოპერატიულ ჯგუფს „მაკაროვის“ და „ტტ“-ს სისტემის იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც დაიჭრნენ 24 წლის ინსპექტორი პაველ გაბრიძე, 24 წლის გიორგი ჯანგირაშვილი და 25 წლის სერჟანტი რამაზ გიგაური.

თავდამსხმელებმა პოლიციის თანამშრომელთა „მაკაროვის“ სისტემის ორი ტაბელური იარაღის გატაცება მოახერხეს და შემთხვევის ადგილიდან წითელი ფერის „გოლფ-3“ მარკის ავტომანქანით მიიმალნენ.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „ტტ“-ს სისტემის პისტოლეტი.

დედაქალაქი

იმისთვის არის კაზინო, ფული „მოსხნან“ და გაზიდონ

თბილისის საკრებულო ფინანსთა სამინისტროსგან სათამაშო ბიზნესის ადმინისტრირების მოწესრიგებას და ამ სფეროდან გადასახადების რეალურ ამოღებას მოითხოვს. საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომისიის მონაცემებით, სათამაშო ბიზნესი ჩრდილშია მოქცეული და ამოღებული გადასახადები იმალება.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ დავით იოსელიანმა განაცხადა, სათამაშო ბიზნესის სხვადასხვა სახეობებიდან (კაზინო, ტოტალიზატორი, ლატარია და ა. შ.) ამოღებული ყველა გადასახადი ერთ ანგარიშზეა მობილიზებული, რის გამოც თბილისის მთავრობა ამ ბიზნესზე მონიტორინგის განხორციელებას და საგადასახადო დეპარტამენტის მიერ წარდგენილი ციფრების ანალიზს ვერ ახერხებს.

„საკვირველია, მაგრამ რაც უფრო იზრდება თბილისში კაზინოების რიცხვი, მით უფრო მცირდება, ოფიციალური მონაცემების თანახმად, სათამაშო მაგიდების რაოდენობა“, — აღნიშნა მან.

გასული წლის ბიუჯეტში სათამაშო ბიზნესიდან 5 მლნ 800 ათასი ლარი უნდა შესულიყო, მაგრამ ამ გეგმის შესრულებას 1 მლნ 300 ათასი ლარი დააკლდა.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

გვეხმაურებიან

აუცილებლად უნდა გარდაიქმნას დისერტაციების დაცვის თანამედროვე სისტემა

დაინტერესებული მკითხველისთვის ცნობილია, რომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე იბეჭდება საყურადღებო წერილები, რომლებიც ასახავენ სწავლებისა და მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გაუმჯობესების კონკრეტულ საკითხებს. ჩემი აზრით, გარკვეული დადებითი როლის შესრულება ძალუძს იმ წინადადებების დანერგვასაც, რომლებიც ხანგრძლივი დაკვირვების დროს ჩამომიყალიბდა:

1. ისტორიის სასკოლო სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის სასურველად მესახება საშუალო სკოლის მოსწავლეებში თემატური და პრობლემური დისკუსიების სადღეისოდ მივიწყებული გამოცდილების რეანიმაცია. კარგი და საჭირო საქმე გაკეთდება, თუ ისტორიის მოყვარულ მოსწავლეთათვის შეიქმნება ინტელექტუალური სავარჯიშო ტესტების კრებული და სპეციალური კროსვორდებიც კი.

ისტორიის სასკოლო სწავლების გაუმჯობესებაში არსებითი სიახლის შეტანა შეუძლია უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიღების პრობლემის საშუალო სკოლისა და სპეციალური მოსამზადებელი კურსებისათვის მინდობას. მაგრამ ამ სიახლის წამოწყება-განხორციელებამდე, ვფიქრობ, დადებითი როლის შესრულება ძალუძს უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდების დროს აბიტურიენტებისათვის რთული, მრავალკითხვიანი ტესტური გამოცდების ორგანიზებასა და გამოსაცდელ-გამომცდელთა უშუალო კონტაქტის გამორიცხვას;

2. უმაღლეს სკოლაში ისტორიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ჩემი აზრით, სასურველია ვრცელი, ზოგადი, თემატური სასწავლო კურსების წაკითხვის ნაცვლად, ისტორიის პრობლემური სწავლების შემოღება. ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ერთი და იგივე ლექტორის მიერ ისტორიის ვრცელი პერიოდის სწავლების მაგივრად, რამდენიმე ან მრავალი ისეთი კვალიფიკაციური მკვლევარ-ლექტორის გამოყენება, რომლებიც თავად იღწვიან კონკრეტული სასწავლო პრობლემების გამოკვლევისათვის. მესახება, რომ ამით საუმაღლესო სწავლება მნიშვნელოვნად უფრო ამაღლდება და უფრო ნაყოფიერიც გახდება, ვიდრე სადღეისოდ არსებული სასკოლო სწავლების მსგავსი თემატური ლექციებისას.

სტუდენტთა გამოცდების ეფექტიანი ორგანიზებისათვის, ვფიქრობ, გაცილებით უფრო მისაღებია ტესტური გამოცდების შემოღება, ვიდრე სტუდენტის მოსმენით შეფასება.

ჩემი აზრით, სტუდენტთა სწავლებას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სპეცსემინარებზე მუშაობის შემდგომი გაძლიერება. აქ საჭიროდ მესახება სპეციალობაში საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ლიტერატურის (მონოგრაფიების, დისერტაციების, მნიშვნელოვანი სტატიების) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული, აუცილებელი, ანალიტიკური განხილვა-დამუშავების შემოღება.

სტუდენტებში მეცნიერული კვლევის უნარის გამოსამუშავებლად ადაპტირებული, საკურსო, სამეცნიერო და სადიპლომო შრომების ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, სასურველია თემის პრობლემური შერჩევა და მისი შესავალ ნაწილში პრობლემის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული დახასიათების, აგრეთვე, მიზანდასახულობის აუცილებელი წარმოჩენის სავალდებულო მოთხოვნის შემოღება;

3. ისტორიის მეცნიერული კვლევის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სათანადო უნარის კადრების გამოვლინება-შერჩევასთან ერთად, ჩემი აზრით, კათედრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ უცნობი, ნაკლებად შესწავლილი ან ახლებურად გასააზრებელი ისტორიოგრაფიული პრობლემების ფონდის გამოკვეთა-ჩამოყალიბებას და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელთა ამ პრობლემებზე დაკვალიანებას.

საკანდიდატო და, მით უმეტეს, სადოქტორო დისერტაციები ისტორიაში აუცილებლად უნდა იკვლევდეს მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას და შეიცავდეს სპეციალურ შესავალ ნაწილს, რომელშიც დეტალურად უნდა აისახოს: თემის, ანუ პრობლემის ზოგადი და, მისგან გამომდინარე, კონკრეტული საკვლევი ქვეპრობლემის ისტორიოგრაფია. დისერტაციის შესავალ ნაწილში წარმოჩენილი უნდა იყოს საკვლევი პრობლემის საყრდენი წყაროთმცოდნეობითი ბალავარი. მასში უთუოდ დაკონკრეტებული უნდა იყოს დისერტანტის მიერ გამოვლენილი ახალი ცოდნის შემავსებელი, ახალი თუ ალტერნატიული წყაროების ინფორმაციული ღირებულებები.

დისერტაციის შესავალში ნათლად უნდა ჩანდეს, აგრეთვე, პრობლემის კვლევის მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები, ისტორიის კვლევის უამრავი მეთოდიდან უპირატესად გამოკვეთილი უნდა იყოს, თუ რომელ მეთოდებს ემყარება ავტორი და მისი საყრდენი საფუძვლებით რა სიახლეების გამოვლინებას ისახავს მიზნად.

აღნიშნული შესავლის უგულებელყოფა, ჩემი აზრით, არის ის უმთავრესი მიზეზი, რომელიც ხშირად განსაზღვრავს დისერტაციის აღწერილობით, კომპილაციურ ხასიათს. ასეთ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი, ამბის გაუბრალოებულ თხრობას ემსგავსება, მაშინ, როცა სპეციალისტს პრობლემის ანალიზი მოეთხოვება;

4. ისტორიის მეცნიერული კვლევისა და გაშუქების ამაღლებისათვის, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი როლის შესრულება ძალუძს საატესტაციო მუშაობის სრულყოფას. ამ მიზნით უთუოდ გარდაქმნას მოითხოვს ისტორიის მეცნიერებაში დისერტაციების დაცვის თანამედროვე სისტემა. ისტორიის მეცნიერების წინაშე მდგარი სადღეისო მოთხოვნების პირობებში, ჩემი აზრით, სრულიად გაუმართლებელი ხდება ისეთი გაფართოებული სადისერტაციო საბჭოების არსებობა, რომლის წევრთა შორის ერთად არიან უძველესი, ფეოდალური, ახალი და უახლესი ისტორიის თუნდაც ცნობილი მკვლევარები. საბჭოური პერიოდიდან ტრადიციით მომდინარე ასეთი სისტემა წააგავს საბჭოთა სასამართლოს, სადაც საქმის ბედი წინასწარ გადაწყვეტილი იყო და არასპეციალისტ მსაჯულებს, ფაქტობრივად, მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილების დასტურის ფუნქცია ეკისრებოდათ. ამ მდგომარეობის გამოსწორება მოითხოვს არსებული სადისერტაციო საბჭოების სპეციალიზებულ სადისერტაციო საბჭოებად რეორგანიზაციას და სპეციალისტთა შესაბამისი ძალების ორგანიზებას. ამ შემთხვევაში მოიხსნება სეს-ის პოლიტიკურ-ბიუროკრატიული, საბჭოთა ვაკ-ის მსგავსი ფუნქციის აუცილებლობა;

5. ისტორიის, განსაკუთრებით ახალი და უახლესი ისტორიის წინაშე მდგარი სახელმწიფოებრივი ინტერესები აუცილებლად საჭიროებს მეცნიერული შრომის ეფექტიანობის მკვეთრ ამაღლებას. ამ შემთხვევაში ისტორიის სოციალურ-პოლიტიკური ღირებულებების გამოყენებამ შეიძლება შეასრულოს ახალი სახელმწიფოებრივი მოთხოვნების შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური ფუნქცია. მაგრამ, ახალმა ცხოვრებამ, მეცნიერ-მკვლევართა უკიდურესად დაბალმა სახელფასო ანაზღაურებამ და მათი საარსებო შესაძლებლობების შეზღუდვამ, თითქმის გამორიცხა ღირებულებების მქონე კვლევის შედეგების გამოქვეყნების შესაძლებლობა. მეცნიერ ისტორიკოსს პირადი საშუალებებით თითქმის აღარ ძალუძს, აგრეთვე, სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესრულებაც კი. როგორც ცნობილია, გართულდა არქივის გამოყენება, ფასიანი გახდა საარქივო მასალების მობილიზება, გაძვირდა სამუშაო მასალა, გაიზარდა ბეჭდვის ხარჯები, ჰონორარი გამოქვეყნებული პროდუქციის ხარჯების მესამედსაც ვერ ფარავს. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება არასარფიანი, მაგრამ საჭირო მეცნიერული კვლევისა და მისი შედეგების ბეჭდვის სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა. ამ მიზნით არ კმარა სახელმწიფო ხარჯებით მხოლოდ კომპილაციური სასწავლო „სახელმძღვანელოების“ ბეჭდვის წახალისება, სასურველია უახლოეს დროში განხორციელდეს ღონისძიებები, რომელიც შესაძლებელს გახდის კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის შესაძლებლობათა რაციონალურ გამოყენებას, ჩემი აზრით, სასურველია, უმაღლესი სასწავლებლის მკვლევართა ხელნაწერი მონოგრაფიების დროული კომპიუტერული აკრეფის და გამოქვეყნებისთვის წინასწარ განისაზღვროს ყოველწლიური საფაკულტეტო კვოტების მოცულობა. სათანადო კომისიებმა უნდა შეარჩიონ და განსაზღვრონ დასაბეჭდი ავტორების პროდუქციის ნუსხა და მოცულობა. აუცილებელი ხდება შეიქმნას კვლევის შედეგების სახელმწიფოებრივი ბეჭდვის ხილული, რეალური გარანტია;

6. ისტორიის კვლევისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი დადებითი როლის შესრულება ძალუძს უმაღლესი სკოლის მკვლევართა და ლექტორ-მასწავლებელთა (მათ შორის ისტორიკოსების) კვალიფიკაციის ამაღლების სტაციონარული ინსტიტუტის ორგანიზებას. კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ლექტორებად ცნობილი სპეციალისტებისა და სასწავლო საშუალებების მობილიზება, მსმენელთა წარმოებისაგან დროებითი გამოთავისუფლება და სათანადო კურსების პერიოდული გავლა, მკვლევარებსა და ლექტორ-მასწავლებლებს საშუალებას მისცემს მთელი ძალისხმევა მოახმარონ სპეციალობაში უახლესი ინფორმაციისა და მეთოდების ათვისებას.

გიორგი ციციშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

1956 წლის 9 მარტი — გამარჯვების დასაწყისი

1956 წელს, პარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვის მოხსენება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ“ საქართველოში განსაკუთრებულად განიცადეს. ამას რეალური მიზეზი ჰქონდა: სტალინის „დანაშაულს საბჭოთა ქვეყნის წინაშე“ საზოგადოებრიობას პრესა ისეთი შეფერადებით აწვდიდა, რომ მის რეპრესიულ აქციებში გარკვეულ წილს თითქოს ქართული ფენომენი ასრულებდა. რუსი (და არა მარტო რუსი) ობივატელის წარმოდგენაში სტალინის და ბერიას ქართული წარმომავლობა აპირობებდა ამ ხალხისადმი ზიზღის და სიძულვილის გრძნობას, რასაც ბევრი დაუფარავად ავლენდა კიდეც.

ქართველმა ახალგაზრდობამ, რომლის ცნობიერებაშიც სტალინი და სამშობლო თაყვანისცემის ერთ დონეზე იყო აყვანილი, სტალინის კრიტიკა საკუთარი ეროვნული სიამაყის შეურაცხყოფად აღიქვა. 1956 წლის 3 მარტს დაიწყო ცალკეული მანიფესტაციები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში (მოთავე სტუდქალაქი იყო). 5 მარტიდან დედაქალაქი უმართავი გახდა. ათასობით ადამიანი თავს იყრიდა მთავარ მოედანზე, სადაც მაშინ საპარადო ტრიბუნა იყო მოწყობილი და მტკვრისპირა სკვერში, სადაც სტალინის გიგანტური ძეგლი იდგა. თბილისთან ერთად აღდგა ქუთაისი, ბათუმი, გორი.

მანიფესტაციების ძირითადი ლოზუნგი იყო „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!“, „გაუმარჯოს საქართველოს“! მაგრამ კულმინაციურ ეტაპზე ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა დამოუკიდებლობის ლოზუნგიც წამოაყენა. ეს იყო ოფიციალური იდეოლოგიით ეგზალტირებული ახალგაზრდობის პროტესტი უნიტარიზმის კურსის წინააღმდეგ, მარტის გამოსვლებმა სულ მალე ჰპოვა ბუნებრივი გზა და გადაიქცა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობად და ბრძოლად. ეს მაშინვე იგრძნო კრემლმა და ჯალათური ნაბიჯი გადადგა: 9 მარტს დემონსტრანტებს საბჭოთა ჯარისკაცებმა რუსთაველის პროსპექტზე და სტალინის ძეგლთან ტყვია დაუშინეს, ხიშტებით დაერივნენ.

მკვლევარები დღემდე ვერ შეთანხმებულან, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა იმ დღეს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მოთა ნოზაძე თავის წიგნში „1956. ტრაგიკული 9 მარტი“, რომელიც სუკ-ის არქივში მოძიებულ მასალებს ეფუძნება, აზუსტებს, რომ დაიღუპა 23 ახალგაზრდა (მათგან ყველაზე უმცროსი 15 წლის, ყველაზე უფროსი კი 30 წლისა იყო). საქველმოქმედო საზოგადოება „1956 წლის 9 მარტის“ პრეზიდენტი, 1993 წელს გადაღებული ორსერიიანი დოკუმენტური ფილმის „9 მარტი, 1956“-ის ავტორი გივი ვეფხვაძე თავის მიერ შედგენილ წიგნში „9 მარტი კადრში და კადრგარეთ“ 27 კაცს ასახელებს (მ. ნოზაძის სიას, თავის მიერ მიკვლეულ 4 კაცს უმატებს). „23 თუ 25 კაცი მოკლესო“, 1988 წელს ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს საქართველოს სუკ-ის ყოფილი თავმჯდომარე გენერალ-პოლკოვნიკი ალექსი ინაური. ნოდარ ნათაძე ბროშურაში „9 მარტი, 1956“ თავისი გამოთვლით (თუმცა არ კი გვეუბნება, რას ეფუძნება ეს გამოთვლა) დაღუპულთა რიცხვს „500-დან 1200-ს შუა ანგარიშობს“. ისტორიკოსები აკაკი და პაატა სურგულაძეები თავიანთ „საქართველოს ისტორიაში“ 150 დაღუპულს ასახელებენ. „ამერიკის ხმამ“ 1958 წ. 12 მარტის გადაცემაში 160 დაღუპული დაასახელა.

სკკპ XXVIII ყრილობაზე ოფიციალური ტრიბუნიდან პირველად ითქვა 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა და მათი რაოდენობის შესახებ. სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსვლისას განაცხადა, რომ ხრუშჩოვის „უშუალო განკარგულებით გამოიყვანეს ტანკები და ჯავშანტექნიკა თბილისის ქუჩებში, ამ ოპერაციას 150 კაცი შეეწირა“.

მართალია მოკლულთა ზუსტი რიცხვი საბოლოოდ დადგენილი არ არის, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ 1956 წლის 9 მარტმა ახალი ბიძგი მისცა ეროვნულ მოძრაობას. მას უდიდესი რეზონანსი ჰქონდა, მსოფლიოს აჩვენა საბჭოეთის ნამდვილი სახე.

მე, მაშინ მერვე კლასის მოსწავლე, თვითონ ვარ იმ დღეების მონაწილე, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ტყვიების წვიმა რუსთაველზე — კავშირგაბმულობის სახლთან და დაჭრილები და მოკლულები — მაშინ კამოს ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოში. ჩემი თანაკლასელები იყვნენ დაღუპულები რეზო გოგია და ვალერი ალავიძე. იმდღევანდელი მოვლენები ახლაც ცხოვლად მიდგას თვალწინ. მაგრამ ჩემი მოგონებების გაზიარება როდი მსურს მკითხველისთვის. მე 9 მარტის შემდგომი მოვლენები მინდა გაგაცნოთ, წინააღმდეგობის ის მფეთქავი ძარღვი, რომელიც სწორედ 9 მარტმა აამოძრავა.

„შეინახოთ მუდმივად“

1957 წლის 9 მაისს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში გავრცელდა არალეგალურად დაბეჭდილი ფურცელი „ხალხის კეთილდღეობისთვის მებრძოლთა ორგანო №2“, მასში ლა-

...

მაინც სულ მთლად შეცვლილიყო. გაოგნებული და ჩაფიქრებული ჩანდა, ეტყობოდა, რაღაც დიდი რამ გადაეწყვიტა. სულ მალე შევიტყვეთ, რომ მან მთავრობის წინააღ-

იხ. მე-6 გვ.

მიღვწიან, მომიგონებენ...

ასაკოვანი, ხელჯოხიანი, ახოვანი მამაკაცი რამდენჯერმე მინახავს ჩვენი რედაქციის დერეფანში. გულითადად, შინაურულად ესალმებოდა იგი გაზეთის თანამშრომლებს, ისინიც — გაბადრულები, აქეთ მობრძანდით, ბატონო პროკოფიო, ჩამოჯექით ჩვენთანო, რედაქტორი, საცაა მოვაო...

ერთხელაც, ბატონმა ვლადიმერ თორდუამ, ლიფტამდე მიაცილა ხელჯოხიანი, დაემშვიდობა და, იქვე მდგომს ცნობისმოყვარეობა რომ შემამჩნია, ხელების ფშვნეტით მითხრა, პროკოფი იყო — რატიანი, ხომ იცნობ... ძვირფასი კაცი... ჩვენთან მუშაობდა, იყო ლიტმუშაკი, განყოფილების გამგე, პასუხისმგებელი მდივანი, მოადგილე, მოგვიანებით რედაქტორი...

ამის შესახებ უკვე მსმენოდა, ადრე სახელმწიფო მოღვაწეც რომ იყო, ესეც გამეგო, მაგრამ, იმხანად, ბატონი პროკოფი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა და ამ კუთხით უფრო იყო ჩემთვის ცნობილი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე საქართველოს შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის პრობლემებს იკვლევდა, ქართული მწერლობის საკითხებს, „თერგდალეულთა“, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას ჩაჰ-

...

ხელმძღვანელები (კერძოდ კი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ხ. ბღაჟბა, რომელიც ხსენებული წიგნის რედაქტორია), დასდგომიან თავიანთი ნაშრომის გადაკეთებისა და „შესწორების“ არამეცნიერულ გზას. არ ვიცით, რა მოსაზრებით, მაგრამ ხსენებულ ამხანაგებს გადაუწყვეტიათ იმგვარად „შეასწორონ“ ნარკვევი, რომ რაც შეიძლება გულმოდგინედ მიჩქმალონ ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი, უაღრესად მჭიდრო კავშირურთიერთობისა და მათი კულტურულ-ისტორიული ერთობის დამამტკიცებელი ფაქტები და ამასთან, დაუმალონ მკითხველს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალრიცხოვანი ქართული კულტურულ-ისტორიული ძეგლების სადაურობა. ასეთ არასწორ ტენდენციას წიგნის ავტორები და რედაქტორი ისე გაუტაცნია, რომ ისინი ვეღარც კი ამჩნევენ, თუ როგორ აშკარად აყალბებენ ისტორიულ სინამდვილეს.

ქვემოთ დავასახელებთ აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ინსტიტუტის ხსენებული ნაშრომის „შესწორებისა“ და „გაუმჯობესების“ რამდენიმე მაგალითს.

1. წინანდელ გამოცემაში ნარკვევის შესავალი ნაწილი (წინასიტყვაობა) შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „Ñóõóì è, ñòî ëèöà Àáõàçñêî é ÀÑÑÐ _ î äèí èç

...

ისაგან მოწყვეტით. წიგნში ძალიან ბევრია ლაპარაკი სოხუმზე, როგორც „სუბტროპიკების მშვენიერ კუთხეზე“, როგორც ლამაზ ქალაქზე, ქალაქ-კურორტზე და ა. შ., მაგრამ თითქმის ვერსად ვერ იპოვით მითითებას იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ეს „მშვენიერი სუბტროპიკების კუთხე“ და რომელი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს ეს ქალაქი-კურორტი. წინანდელ გამოცემაში (მისი რედაქტორია ამხ. პ. გუჯაბიძე) ასეთი მითითებები იყო, ახლანდელ რედაქტორს კი ისინი გულმოდგინედ ამოუშლია. როგორც ჩანს, ამხ. ბღაჟბა ფიქრობს, რომ ქ. სოხუმი, ანუ ძველი ქართულით ცხუმი (ცხომი), რომელიც საუკუნეების განმავლობაში ითვლებოდა საქართველოს ერთ-ერთ ქალაქად და ეს არავის სადავოდ არ მიაჩნდა, ახლა უნდა ამოვშალოთ საქართველოს ქალაქების სიიდან.

2. ასეთივე ბედი ეწია სოხუმის ახლომახლო მდებარე ქართული კულტურის ძეგლებს, რომელთა სადაურობა მეცნიერების მიერ სავსებით დადგენილია და ამაში დღემდე ეჭვი არავის შეპარვია. თითქმის ყველგან, სადაც კი წინანდელ გამოცემაში სიტყვა „ქართული“ ეწერა, ახლანდელ გამოცემაში ეს სიტყვა წაუშლიათ. აი, მაგალითები:

გამოცემაში ნათქვამი იყო: „Åãî ï î ñòðî éêó ñâÿçû âàþ ò ñ èì åí åì ▯▯▯ ▯▯ ▯▯▯▯▯ ▯▯▯▯▯▯ _ Áàãðàòà III (975-1014)“. ახალ გამოცემაში ხაზგასმული სიტყვები, ე. ი. საქართველოს ხსენება ზედმეტად მიუჩნევიათ და წაუშლიათ;

გ) ცნობილი უძველესი ხიდის შესახებ, რომელიც მდინარე ბესლეთზე მდებარეობს და რომელსაც ამჟამადაც ამშვენებს ქართული წარწერა, წინანდელ გამოცემაში ნათქვამი იყო: „Âñÿ ôî ðì à è òåõî èêà êî í ñòðóêöèè ñâÿçû âàþ ò ýòî ò èí òåðåñí ûé ïàì ÿòí èê ñ àðõèòåêòóðí ûì è òðàäèöèÿì è èí æèí åðí î ãî èñêóññòâà Ãðóçèè X-XII ââ“. ახალ გამოცემაში ეს სიტყვები შეუცვლიათ შემდეგნაირად: „Ôî ðì à è òåõî èêà êî í ñòðóêöèè ýòî ãî èí òåðåñí î ãî ïàì ÿòí èêà ãî âî ðèò î á àðõèòåêòóðí î ì ñðåäí åâåêî âî ì èñêóññòâå“.

* * *

როგორც წერილის დასაწყისში ითქვა, პროკოფი



პროფესორი პროკოფი რატიანი.

მკურნალობა, გარდა ჰაერის ტემპერატურისა მას არ უხდებოდა), ამიტომ გადავწყვიტე, მისთვისაც მეშოვნა რაიმე სამუშაო აბასთუმანში. ეს მით უფრო აუცილებლად მეჩვენებოდა, რომ

...

რა უსაყვედურა პროკოფი რატიანს ლადო ასათიანმა



1940 წელი, აბასთუმანი, ჟურნალისტი პროკოფი რატიანი (მარჯვნივ) და პოეტი ლადო ასათიანი.

...

ვილენ მარდალეიშვილი

1956 წლის 9 მარტი — გამარჯვების დასაწყისი

„შეინახოს მუდმივად“

(მეოთხე გვერდიდან)

იგი ძალზე საინტერესო ბიოგრაფიის კაცი იყო. დაიბადა 1888 წელს ხობში. 1905 წელს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იყო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თანამშრომელი, სახბანკის მმართველი, ხობის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, წითელი ჯვრის რესპუბლიკური პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, შინსახკომის მუშაკი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, 1944 წლიდან საკავშირო პერსონალური პენსიონერი. გარდაიცვალა 1976 წელს.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1956 წლის 12 ივლისს 68 წლის პეტრე მეუნარგიას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იჯდა მორდვეთის ასსრ დაბა იავასის „დუბრავლაგის“ ბანაკში.

ანტისაბჭოთა მუშაობა არც გადასახლებაში შეუწყვეტია. 9 მარტის მოვლენებში აქტიური მონაწილეობისთვის რვაწელმისჯილ მიხეილ ყიფიანთან (დაბ. 1914 წ. ბაღდათში, იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე) ერთად ქართველ მსჯავრდებულთაგან შექმნა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“, რომელმაც ამოცანად დაისახა ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. შეადგინეს „მომავალი საქართველოს წყობის წესდება“.

1956 წლის 10 ნოემბერს დააპატიმრეს გიორგი ბატიაშვილი (დაბ. 1918 წ. ლაგოდეხში, იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, თადარიგის კაპიტანი). მის მიერ შედგენილი და გავრცელებული 4 ხელნაწერი პროკლამაციისათვის, რომლებიც 1956 წლის 7, 8, 11 და 12 ივლისს სასტუმრო „ქართლის“ კედლებზე გააკრა, უმაღლესმა სასამართლომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასჯელის ასეთივე ზომა შეეფარდა ამირან აფციაურსაც (დაბ. 1926 წ. თეთრწყაროში. დააპატიმრეს 1956 წ. 4 ოქტომბერს), რომელმაც 14 ანტისაბჭოთა ხელნაწერი ფურცელი შეადგინა. ავრცელებდა თბილისის საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე, ფურცლებში ლაპარაკი იყო მუშათა დაბალ ხელფასზე, მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის მოტყუებაზე, მის ქმედუუნარობაზე, რაც სახელმწიფოს ჩიხში აქცევდა.



1956 წლის მარტი.

პროკლამაციის გავრცელებისათვის 1957 წლის დეკემბერში დააპატიმრეს თბილისელი მოსწავლეები ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე, გურამ დოჩანაშვილი, ანატოლი მიქაძე, თემურ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, თემურ მეტრეველი. ისხდნენ 4 თვე – 1958 წლის აპრილამდე.

ეს, რაც შეეხება ხელნაწერ არალეგალურ ლიტერატურას. მაგრამ იყო ნაბეჭდი პროკლამაციებიც. ბარამიძე-ფაჩულიას საიდუმლო სტამბისნაირი სხვაც არსებობდა.

სტამბა ყაზბეგში, ერთ-ერთ გამოქვაბულში გამართეს ძმებმა მიხეილ (დაბ. 1931 წ. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოლარე-მოანგარიშე) და გიორგი (დაბ. 1934 წ. მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის მოსწავლე) ფიცხელაურებმა, რაიონული გაზეთის „ახალი ხევის“ სტამბიდან ღამით, ჩუმად გატანილი შრიფტითა და სასტამბო ნიშნებით, თვითნაკეთი მოწყობილობებით.

პირველი პროკლამაცია, 240 ცალი, 1956 წლის ოქტომბერში დაბეჭდეს და ფოსტით დაუგზავნეს თბილისში სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტებს, დაწესებულებებს.

სასამართლომ 1958 წლის მარტში მიხეილ და გიორგი ფიცხელაურებს 6-6 წელი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა შემდეგ 2-2 წელი ჩამოაკლო. სასჯელი მორდვეთში, „დუბრავლაგში“ მოიხადეს.

ისე რომ, ძაფი პროტესტის, წინააღმდეგობისა, არ გამწყდარა, ეროვნული სულისკვეთების ნიშატი არ გამქრალა. ოღონდ, მაშინ ყველას როდი ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი, როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფლება, დამოუკიდებლობა.

ამის გასასიგრძეგანებლად სამი ათწლეული კიდევ იყო დარჩენილი.

ალეკო ასლანიშვილი.

• პასუხისმგებლობა არავის უკისრია
• სამყარო 14 მილიარდი წლისაა
• გიგანტური მეგაფონი – დემონსტრანტების რისხვა

აფეთქება სტამბოლში

სამშაბათ საღამოს სტამბოლში, შენობაში, სადაც განლაგებულია მასონთა ლოჟა, განხორციელდა ტერორისტული აქტი. რესტორანში მომხდარი აფეთქების შედეგად (რესტორანი ლოჟის ნაწილია) დაიღუპა ორი ადამიანი და ექვსი – დაიჭრა.

აფეთქება განახორციელა ორმა ტერორისტმა-კამიკაძემ, რომელთაგან ერთი დაიღუპა, მეორე კი მძიმედ დაიჭრა. ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედებამდე, თავდამსხმელებმა რესტორნის ფანჯრებს ცეცხლი გაუხსნეს. იმ დროს შენობაში ორმოცამდე კაცი იმყოფებოდა. შემდეგ კი, ტერორისტებმა აამოქმედეს ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც მათ სხეულზე ჰქონდათ მიმაგრებული.

პოლიციის მონაცემებით, აფეთქების შედეგად დაიღუპა თვით ტერორისტი და მის მახლობლად მდგომი ოფიციანტი. უახლოეს მაგიდებთან მსხდომი ხუთი კაცი დაიჭრა. მეორე კამიკაძე ჰოსპიტალში მოათავსეს. ამჟამად ადგენენ ტერორისტთა ვინაობას.

ჯერჯერობით არც ერთ ექსტრემისტულ ორგანიზაციას არ უკისრია პასუხისმგებლობა ამ აფეთქების გამო. როგორც სტამბოლის გუბერნატორმა მოამერ გიულერმა აღნიშნა, ტერორისტთა სამიზნე, სავარაუდოდ, იყო „დამოუკიდებელ მასონთა დიდი ლოჟის“ განყოფილება, რომელიც იმავე შენობაში მდებარეობს.

გუბერნატორის თქმით, ტერორისტებმა ჯერ დაჭრეს შენობის ერთ-ერთი მცველი, შემდეგ კი ცეცხლი დაუშინეს რესტორნის ფანჯრებს.

სავარაუდოდ, ტერორისტული აქტი განახორციელეს ისლამისტმა ექსტრემისტებმა.

შემთხვევის ადგილზე მუშაობდნენ მეხანძრეთა და მაშველთა ბრიგადები.

სულ სტამბოლში 6 მასონური ორგანიზაციაა. მასონთა ლოჟები უაღრესად გასაიდუმლოებული სტრუქტურებია, რომლებიც, რადიკალი ისლამისტების აზრით, მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის პოლიტიკას.

პოლიციელები გაიფიცნენ

ბრაზილიის მთავრობას, რომელიც ხელისუფლების სათავეში შარშან მოვიდა, ელის სახელმწიფო სექტორის მუშაკთა პირველი გაფიცვა.

სამშაბათს მუშაობა შეწყვიტეს ფედერალურმა პოლიციელებმა. ისინი აპირებენ განაგრძონ გაფიცვა მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნას ხელფასების მომატების შესახებ.

მაგრამ ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მას, უბრალოდ, არა აქვს ფული პოლიციელთა ხელფასების გადიდებისათვის.

ფედერალური პოლიციელები განეკუთვნებიან ელიტარულ ქვედანაყოფებს – ბრაზილიაში მათი რიცხვი სულ 8 ათასს აღწევს. ისინი პატრულობენ სახელმწიფოს საზღვრებს და ებრძვიან ორგანიზებულ დამნაშავეობას.

როგორც პროფკავშირების წარმომადგენლები აღნიშნავენ, ხელფასების ზრდა 80 პროცენტზე მეტით, რასაც პოლიციელები მოითხოვენ, უნდა მომხდარიყო 1996 წელს მიღებული კანონის შესწორებების შესაბამისად.

პოლიციელების გაფიცვა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ბრაზილიის მემარცხენე ყაიდის მთავრობას და პრეზიდენტ იგნასიო ლულა და სილვას, რომელიც წარსულში თვითონ იყო აქტიური პროფკავშირული მოღვაწე.

იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ხელისუფლებისათვის „გარკვეულწილად გასაგებია“ პოლიციელთა მოთხოვნები, მაგრამ ხელფასების გადიდება ვერ მოხდება კანონში ახალი ცვლილებების შეტანის გარეშე.

განცხადებაში, აგრეთვე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო სექტორის არც ერთ მუშაკს არ მიუღია ასეთი გადიდებული ხელფასები.

მაგრამ პოლიციელები აცხადებენ, რომ ისინი არ შეწყვეტენ გაფიცვას მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს.



დემონსტრანტებს გიგანტური მეგაფონებით გაფანტავენ

ამერიკელი საზღვაო ქვეითები, რომლებიც მარტში ჩავლენ ერაყში კადრების ტრადიციული როტაციის ფარგლებში, იქ ჩაიტანენ უახლოეს იარაღს, რომელიც წინათ არ გამოიყენებოდა არც საჯარისო ოპერაციების განმხორციელების და არც დემონსტრანტთა გაფანტვის მიზნით.

სპეციალისტების აზრით, სწორედ დემონსტრანტთა გაფანტვისთვის არის განკუთვნილი გიგანტური მეგაფონი, რომელსაც შეუძლია გამოსცეს 145 დეციბალამდე სიძლიერის ხმა. ეს ძლიერ თავის ტკივილს და დაყრუებასაც კი იწვევს.

ფირმა „ამერიკან ტექნოლოჯის“ მეთაური ამტკიცებს, რომ ამ საშინელი ძალის ხმას შეუძლია ადამიანები მოცელოს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. „ადამიანების უმრავლესობას, თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი დაიცობენ ყურებს, დაეწყებათ საშინელი თავის ტკივილი, რომელიც შაკიკს წააგავს“, – ამტკიცებს ფირმის მეთაური ვუდი ნორისი.

პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა ეს ინფორმაცია, თუმცა აღნიშნა, რომ ამ მეგაფონს „ვერ მივიჩნევთ იარაღად“.

„ჰაბლმა“ ყველაზე შორეული გალაქტიკები იპოვა

ამერიკელმა ასტრონავტებმა გამოაქვეყნეს კოსმოსური ტელესკოპის „ჰაბლის“ მიერ გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც მათი თქმით, აღბეჭდილია ჩვენი პლანეტიდან ყველაზე დაშორებული ობიექტები.

ამ ერთადერთ ფოტოზე, რომლის შექმნასაც ოთხი თვე დასჭირდა, აღბეჭდილია 10 ათასამდე გალაქტიკა.

ამ გალაქტიკებიდან სინათლემ თავისი გზა დედამიწისკენ დაიწყო თითქმის მას შემდეგვე, რაც წარმოიშვა ჩვენი სამყარო.



ფოტოს გადასაღებად „ჰაბლს“ მოუწია რამდენიმე წუთით გაჩერებულიყო თავისი ორბიტის გარკვეულ ადგილებში.

შორეული გალაქტიკებიდან მოსული სინათლე იმდენად სუსტია, რომ უმძლავრეს ორბიტულ ტელესკოპს „ჰაბლს“ მთელი ოთხი თვე დასჭირდა მათი დაფიქსირებისათვის. მაგრამ ახლა არსებობს ორიონის თანავარსკვლავედის ოდნავ ქვემოთ განლაგებულ გალაქტიკათა შთამბეჭდავი პანორამა, რომლებიც, ასტრონომთა თქმით, ჩვენგან 13 მილიარდ სინათლის წელიწადზე მეტით არიან დაშორებულები.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჩვენი სამყარო დაახლოებით 14 მილიარდი წლისაა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ფოტოსურათზე აღბეჭდილია მოვლენები, რომლებიც ხდებოდა ჩვენი სამყაროს სიცოცხლის პირველ მილიარდ წელს – ანუ დიდი აფეთქებიდან შედარებით მცირე ხნის გასვლის შემდეგ, რომლის შედეგადაც წარმოიქმნა კიდეც სამყარო.

მუშაობის 10 წლის განმავლობაში „ჰაბლ“ ტელესკოპმა შეძლო მრავალი ფოტოს გადაღება, რომლებიც მეცნიერებს დაეხმარა სამყაროს ისტორიისა და მისი აგებულების უკეთ შესწავლაში.

კოსმოსის ათვისების დარგის მრავალ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ის მილიარდობით დოლარი, რომლის გამოყოფასაც აპირებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბუში მარსზე პილოტირებული ეკიპაჟის გაგზავნისათვის, შეიძლება მოხმარდეს უფრო სასარგებლო საქმეებს, მაგალითად უკეთესი ტელესკოპების შექმნას და კოსმოსურ შორეთში ჯერჯერობით უპილოტო ხომალდების გაგზავნისათვის.

მეთაური იცავს მუნდირის ღირსებას

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა განაცხადა, რომ დამახინჯებულად არ მიაჩნია ის სადაზვერვო მონაცემები, რომლებიც დაედო საფუძვლად ერაყში ომის დაწყებას.

სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტს, რომელიც იძიებს იმ გარემოებებს ომის დაწყება რომ გამოიწვია, ტენეტმა განუცხადა, რომ შესაძლოა, ზოგჯერ სპეცსამსახურების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისად ზუსტად იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ყველა ამ ხარვეზის გამოსწორება სწრაფად ხერხდებოდა.

კომიტეტის წევრები დემოკრატიული პარტიისაგან მკაცრად აკრიტიკებდნენ სადაზვერვო სამსახურების მიერ მიწოდებულ ზოგიერთ მონაცემს, მაგრამ ჯორჯ ტენეტმა მათ მოუწოდა მოთმინებით დაელოდონ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის ძებნის შედეგებს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძემ.

SIC!

ადამიანების დაკარგული სიცოცხლის რაოდენობისა და ეკონომიკური ზარალის მიხედვით, მიწისძვრებს პირველობა ეკუთვნით.

მიწისძვრის მსხვერპლი XX საუკუნეში დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი გახდა, რაც 3-ჯერ აღემატება XIX საუკუნის მაჩვენებელს. ყოველწლიურად, საშუალოდ, მსოფლიოში 18 მიწისძვრა ხდება, რომლის ინტენსივობა აღემატება 7 ბალს რიხტერის სკალით.

დღეისთვის მსოფლიოში არ არსებობს მიწისძვრის ძალისა და დროში მისი წინასწარმეტყველების საიმედო მეთოდი. ამიტომ, ერთადერთი ხერხი მსხვერპლისა და ნგრევის შემცირებისა, არის მტკიცე შენობების აგება და ძველი ნაგებობების გაძლიერება, ვინაიდან მიწისძვრები კი არ სპობენ ადამიანებს, არამედ შენობათა ნანგრევები.

საცხოვრებელი სახლი ძმათა სასაფლაო არ არის

საქართველოს მთელი ტერიტორია სეისმურად საშიშ რაიონებს მოიცავს, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია და ამიტომ შენობა-ნაგებობების სეისმომდგრადობის პრობლემა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაცვის ძირითად ელემენტს.

საქართველოს სეისმური დარაიონების ახალი რუკის მიხედვით დასახლებული პუნქტების საანგარიშო სეისმური ინტენსივობა 8-9 ბალს შეადგენს. სეისმოლოგიური სიტუაციის ცვლილებასთან დაკავშირებით ხშირად საცხოვრებელი სახლების საანგარიშო სეისმურობა არ შეესაბამება სეისმური ზემოქმედების მოსალოდნელ დონეს. 7-8 ბალზე დაპროექტებულ საცხოვრებელ სახლებს მომატებული ნორმატიული სეისმურობის პირობებში შეუძლიათ მიიღონ დაზიანების უფრო მაღალი ხარისხი, ხოლო ხშირი არასაანგარიშო (სუსტი) მიწისძვრებისგან დაზიანების პროცესი უფრო ინტენსიური იქნება, ვიდრე იმ შემთხვევებში, როდესაც შენობის საანგარიშო ინტენსივობა შეესაბამება მიწისძვრის სიმძლავრეს.

საქართველოს სეისმომედეგი [illegible]

სეისმურობა შეადგენდა 7 ბალს და სერიოზულად დააზიანა დაახლოებით 40 ათასი მცირესართულიანი აგურისა და ქვისგან აშენებული საცხოვრებელი სახლი. ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისგან აგებულმა შენობებმა, კერძოდ, მსხვილპანელური საცხოვრებელი სახლების მხოლოდ 10 პროცენტმა მიიღო დაზიანების პირველი ხარისხი, რაც გამოიხატება მცირე ბზარებში, რომლებიც აღინიშნებოდა კონსტრუქციული ელემენტების მოპირდაპირე შეერთებებში და ფაქტურულ ფენებში.

აღსანიშნავია, რომ მრავალჯერადი სუსტი მიწისძვრები იწვევენ აღნიშნული ხასიათის დაზიანებების დაგროვებას, რაც განაპირობებს რკინა-ბეტონის კონსტრუქციების საწყისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ცვლილებას და რაზეც გარკვეულ გავლენას ახდენს, ასევე, მიწისძვრისას ციკლური დატვირთვების გამო დაჩქარებული ფიზიკური ცვეთა და მასალის დაძველება. სამშენებლო კონსტრუქციების საექსპლუატაციო საიმედოობა კლებულობს, აგრეთვე, შენობის ექსპლუატაციის წესების არდაცვის გამოც, რაც გამოიხატება ბინების უკონტროლო, უპროექტო გადაკეთებაში, კაპიტალურ კედლებში ღიობების გაფართოებასა და ახლების მოწყობაში, [illegible]



არანაკლებ აქტუალურია საცხოვრებელ სახლებზე ლოჯიების მიშენების საკითხი, რაც შეიძლება განხილულ იქნეს მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი ფართის მომატების მცდელობად და ცალკე სტატიის თემაა. თუმცა, აღვნიშნავ, რომ ზოგადად მათი მიშენება უნდა განხორციელდეს შესაბამისი პროექტის მიხედვით. პროექტმა უნდა გაიაროს საუწყებო ექსპერტიზა, ხოლო სამშენებლო სამუშაოები უნდა შეასრულოს ორგანიზაციამ, რომელსაც აქვს შესაბამისი ლიცენზია და ჩაბარება უნდა განხორციელდეს საქარქმშენინსპექციის მიერ დამტკიცებული აქტით. მიზანშეწონილი იქნებოდა ისეთი დებულების შემუშავება, რაც სათავსოს მფლობელს ვალდებულს გახდიდა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე მთელი სახლი დაეზღვია რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული რისკისაგან.

საქართველოში ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების შემდეგ სამშენებლო სისტემაშიც განხორციელდა პრივატიზაცია და მფლობელობის კერძო ფორმებზე გადასვლა. სამშენებლო ინდუსტრია გადავიდა ინდივიდუალურ დაპროექტებასა და მშენებლობაზე, რის გამოც შეწყდა საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა ტიპიური პროექტების მიხედვით და [illegible] პირობებში, იქმნება ძვირადღირებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფართო სპექტრი, ხშირ შემთხვევაში ესთეტიკურად დაუხვეწავი არქიტექტურული ფორმებითა და თავისუფალი შიგა დაგეგმარებითი შესაძლებლობებით, რაც განკუთვნილია საზოგადოების შეძლებული ფენისთვის.

აქვე დავძენ, რომ ახალი მშენებლობები მიმდინარეობს სეისმომედეგობაზე რეალური გამოცდის გარეშე, ძველი (საბჭოთა კავშირის დროინდელი) ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, ვინაიდან დღემდე არ არის დამტკიცებული თანამედროვე ეროვნული ნორმები და წესები – „მშენებლობა სეისმურ რაიონებში“. რაც შეეხება სეისმომედეგი მშენებლობის დარგში საბჭოთა კავშირის დროინდელ ნორმებს, ამერიკელი სეისმოლოგის ვ. ხაისის დასკვნით, 1988 წლის სპიტაკის მიწისძვრის ტრაგიკული შედეგები, ძირითადად, განპირობებული იყო აღნიშნული ნორმების არასრულყოფილებით.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში სოციალური საცხოვრისის შექმნა და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მიზანშეწონილია ახალი თაობის სხვადასხვანაირი ტიპიური პროექტების მიხედვით, რომლებიც მინიმალური ღირებულებითა და სეისმოდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ მასშტაბურ ეფექტიანობას.

საბინაო ფონდის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია ფორმულით, – სილამაზე, სარგებლობა და სეისმომდგრადობა, შეიძლება მიღწეულ იქნეს არსებული მსხვილპანელური სახლთმშენებლობის ბაზის სტრუქტურის აღდგენა-გარდაქმნის, სამშენებლო ინდუსტრიის ქარხნების სეისმური დარაიონების რუკების ცვლილების შესაბამისად გამოყენებისა და მსხვილპანელური შენობების, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სეისმომედეგი სისტემის, არსებული ტიპიური პროექტების თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით სრულყოფის გზით.

საჭიროა გადაუდებელი, ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული განაშენიანებისა და ტერიტორიების სეისმოდაცვითი ღონისძიებების რეალური რისკის დონემდე დაყვანას. ასეთ შემთხვევაში [illegible]

პაატა რეკვავა,
[illegible]

შენ — ნინო ჩემო...

რა კურიოზი ელოდა იაპონიაში ქართულ საბალეტო დასს

7 თებერვლიდან 7 მარტამდე ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი გასტროლებზე იმყოფებოდა იაპონიასა და ინგლისში. იდეა და განხორციელება ეკუთვნის ნინო ანანიაშვილს. იგი თავად ხშირად დადიოდა გასტროლებზე და აი, ამჯერად ჩვენი დასიც აღმოჩნდა მასთან ერთად. აქ იყვნენ კორდებალეტის 24 გოგონა, 8 ვაჟი, დიდი თეატრის სოლისტები და ასევე წამყვან პარტიებს ასრულებდნენ ლალი კანდელაკი, ირაკლი ბახტაძე, დავით ხოზაშვილი. იაპონიაში ჩასულებს დახვდათ ლამაზად გაფორმებული ბუკლეტი „ანანიაშვილი და მისი მეგობრები“, სადაც მოთხრობილი იყო რეპერტუარის, დამდგმელი ჯგუფის, სოლისტების შესახებ.

რეპერტუარში შედიოდა: „გრინი“, ქორეოგრაფი სტენტონ უელში, ვივალდის მუსიკა; „აფრიკა“, [illegible] სიკა; „სიზმრები იაპონიაზე“, ქორეოგრაფი ალექსეი რატმანსკი; „გედების ტბა“. ამ დადგმებიდან ორი ბალეტის „ლეა“ და „სიზმრები იაპონიაზე“ მხატვარია მიხეილ მახარაძე. წლების მანძილზე ასეთი სერიოზული გასტროლები თეატრს არ ჰქონია, ამიტომ ისინი ძალიან მონდომებულები და შემართულები იყვნენ. პატარა ბალეტები თავისი კოსტიუმებით და დეკორაციებით ნინო ანანიაშვილის საკუთრებაა, ამიტომ როცა გასტროლზე მიდის თან დააქვს. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემები მოხსნილი იყო.

დასის გენერალური მენეჯერი პაატა ცხიკვიშვილი: – სამი კვირა ვიყავით იაპონიაში, ერთი კვირა – ინგლისში. იაპონიის ექვს ქალაქში გვქონდა 11 წარმოდგენა. ინგლისში მხოლოდ ლონდონში ვიყავით, გავმართეთ 3 წარმოდგენა. ნინო ანანიაშვილთან რაც არის დაკავშირებული, ყველაფერი [illegible] მაყურებელს. მერე ფონოგრამა ჩაირთო, მაგრამ შუა სპექტაკლის დროს კვლავ შეწყდა. ჩვენები არ შეჩერდნენ და გააგრძელეს მოძრაობები. მალე ისევ ჩაირთო. ასეთი ტექნიკური ხარვეზი თურმე იაპონიაშიც შეიძლება მოხდეს. ტოკიოს ყველაზე პრესტიჟულ და დიდ თეატრში „ბუნკანკაიკანში“ გამოსვლის შემდეგ ყველა დასი, ვინც აქ ყოფილა საგასტროლოდ, სტოვებს სპეციალურ ადგილზე დიდ აფიშებს. ეს ადგილი არის ე. წ. თეატრის „ჯიბეები“, სადაც ჩვენც დავტოვეთ აფიშა – ქართული და იაპონური დროშებით და ავტოგ- [illegible] მი წარმოდგენა, როდესაც ნინომ მოაწყო სიურპრიზები. სპექტაკლის შემდეგ დონ-კიხოტის პა-დე-დე შეასრულა ბრწყინვალედ ამხელა დატვირთვის მი- [illegible]



ნანული ზოტიკიშვილი.

სურათზე: [illegible]

სააქციო საზოგადოება „მადნეული“ თავის იურიდიულ მისამართზე: ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი (ადმინისტრაციული შენობა) 2004 წლის 25 მარტამდე ყოველი სამუშაო დღის 11-დან 16 საათამდე იწვევს სს „მადნეულის“ კრედიტორებს.
გთხოვთ, წარმოადგინოთ სს „მადნეულთან“ სამართლებრივი და ფინანსური ურთიერთობების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, შეთანხმების აქტები და სხვა).
საკონტაქტო ტელეფონები: 92-23-09, 92-23-08, 94-06-49.
სს „მადნეულის“ ადმინისტრაცია.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 57, ხუთშაბათი, 11 მარტი, 2004 წელი.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის განცხადებები

1. საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის 18.02.2004 წლის №2 ხხდომის ოქმის თანახმად, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული საწვავის და საპოხ-საცვლები მასალების შეძენა მიწოდებასა და აფტერგასამართ სადგურებზე მომსახურებაზე, აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდება განხორციელდება 2004 წლის განმავლობაში ეტაპობრივად. საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

№	საჭირო დასაბუთება	საკრედიტო რიგითობა ლოტებში	მიწოდების ფასი
1	ბენზინი „პრემიერ" ოქტანური რიცხვი არანაკლებ-92, სტგ-41-2000	115000 (ცხრამეტასი მეოთხეასი)	მიწოდების ბენზინ გასამართი სადგური
2	ბენზინი „სუპერ" ოქტანური რიცხვი არანაკლებ-98, სტგ-41-2000	55000. (ექვსასორმოცი)	მიწოდების ბენზინ გასამართი სადგური
3	დიზელი ლ-02-62 გოსტ-305-82	104000 (ერთასოთხეასი მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკის ანგარიში კერძოდ ¹263 და მიწოდებლის ბენზინ გასამართი სადგური.
4	ანტიფრიზი 25%	750 ლიტრ	საქართველოს ბანკის ანგარიში, კერძოდ ¹263
5	ზეთი ა-8	600 ლიტრ	საქ. ეროვნული ბანკის ანგარიში, კერძოდ ¹263
6	ზეთი უნივერსალური ავტომობილისადის სხვადასხვა სახეობის	400ლიტრ	საქ ეროვნული ბანკის ანგარიში, კერძოდ ¹263
7.	სანთლის ნაკრები მასალები სხვადასხვა		საქ ეროვნული ბანკის ანგარიში, კერძოდ ¹263
8	[illegible]	[illegible]	საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში, კერძოდ ¹263
9	[illegible]	[illegible]	საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში, კერძოდ ¹263

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17 სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88

4. დაინტერესებული პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:
ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით საჯარსულებო წარმოება (ცნობა საჯარსულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მის მოლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებებიდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
ლ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;
მ) ქსელის განეთარების გეგმა როგორც თბილისში, ისე ქვეყნის მასშტაბით.
ნ) რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ბ.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული პირები შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში, რომლებიც გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში ბანკის სახელზე **N000904742 „შესყიდვებთან დაკავშირებული სატენდერო მოსაკრებლის"** სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი **220101107.**

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი, ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №124, 125 ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

---

1. საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის 18.02.2004 წლის №2 ხხდომის გადაწყვეტილებით, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული ქაღალდის საკანცელარიო ნაწარმის შესყიდვაზე, აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდება განხორციელდება 2004 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, სებ-ის წერილობითი მოთხოვნების შესაბამისად, ქვემოთ მოცემული დასახელებების მიხედვით და საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს კერძოდ:

№	საქონლის დასახელება	საკრედიტო რიგითობა	მიწოდების ფასი
1	პირადასაფები ქაღალდი ა-4 ფორმატის გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321; HS/KN-4816, 4823.1	3000ეგზემპ (ექვსასოცდა მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
2	პირადასაფები ქაღალდი ა-3 ფორმატის გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321; HS/KN-4816, 4823.1	500ეგზემპ (ექვსასოცდა მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
3	ფაქსის ქაღალდი	300 ც. (ექვსასოცდა მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
4	პერფორირებული ქაღალდი 42080-ანი. გოსტ-D-DE-21.23.1 CPC-32199.2; HS/KN-4823.5	12000ც (ექვსასოცდა მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
5	ცარიელ ქაღალდი ა-1; გოსტ-D-DE-21.12.53 CPC-32143.1i; HS/KN-4810.1,2	სებ-ის საჭიროებისამებრ (ექვსასოცდა მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
6	ფოტოსტატირებული ქაღალდი ა-4 გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321; HS/KN-4816, 4823.1	სებ-ის საჭიროებისამებრ (ექვსასოცდა მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5
7	ბუდის ქაღალდი სხვადასხვა	(ექვსასოცდა მეოთხეასი)	საქ. ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17 სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88;

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:
ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით საჯარსულებო წარმოება (ცნობა საჯარსულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებებიდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
ლ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;
მ) ქსელის განეთარების გეგმა როგორც თბილისში, ისე ქვეყნის მასშტაბით.
ნ) რეკვიზიტები: (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ბ.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში ბანკის სახელზე **N000904742 „შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის"** სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი **220101107.**

7. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი მის: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №124, 125 ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

---

1. საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის 18.02.2004 წლის №2 ხხდომის გადაწყვეტილებით, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევისა და დამატებითი რისკების ნებაყოფლობით დაზღვევაზე, იგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. საჭიროებული ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევისა და დამატებითი რისკების ნებაყოფლობითი დაზღვევა უნდა მოქმედებდეს 2004 წლის მთისფილ ერთი წლის განმავლობაში, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა უნდა მოქმედებდეს 2004 წლის ნოემბრიდან ერთი წლის განმავლობაში. დაზღვევის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტებს გოსტ-J.66.03.10;CPC81291-81299;

3. დაინტერესებული პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17 სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88;

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:
ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით საჯარსულებო წარმოება (ცნობა საჯარსულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებებიდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
ლ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია, საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ბ.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში ბანკის სახელზე **N000904742 „შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის"** სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი **220101107.**

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი მის: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი №124, 125 ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

---

1. საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის 18.02.2004 წლის №2 ხხდომის გადაწყვეტილებით, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილური სატელეფონო კავშირების ოპერატორებზე გამაჟალი ზარების მომსახურებაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მომსახურება განხორციელდება 2004 წლის განმავლობაში. მომსახურება ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტ გოსტ-I-64.20.12; CPC-75212; I-64.20.13; CPC-75213; I-64.20.16; CPC-75231; I-64.20.17; CPC-75232;

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17 სთ-მდე, სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88;

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:
ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით საჯარსულებო წარმოება (ცნობა საჯარსულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებებიდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;
ლ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
მ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია, საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ბ.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში ბანკის სახელზე **N000904742 „შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის"** სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი **220101107.**

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, საფოსტო ინდექსი 380005, ოთახი №124,125 ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

---

1. საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის 18.02.2004 წლის №2 ხხდომის გადაწყვეტილებით, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ სალიტერატურო და საორგანიზაციო ტექნიკის სასარგებლო და სათადარიგო მასალების შესყიდვაზე აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვა განხორციელდება 2004 წლის ბიუჯეტის ასიგნებებიდან და ფინანსური კალენდარული გეგმის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტ გოსტ-DL-30.01.14; CPC-45170.1; HS/KN-8473.10,2; D-DL-30.0124; CPC-45170.2; HS/KN-8473.40; D-DL-30.01.25; CPC-45180; HS/KN- 9009.90; D-DL-30.02.17; CPC-45270; HS/KN- 8473.30.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 17 სთ-მდე, სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88;

4. დაინტერესებულ პირთა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:
ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);
ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);
გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით საჯარსულებო წარმოება (ცნობა საჯარსულებო ბიუროდან);
დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის(ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);
ე) ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზებული დაწესებულებებიდან);
ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).
ზ) ბოლო სამი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;
თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;
ი) მინდობილობა ხელისმომწერ უფლებამოსილ პირზე;
კ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;
ლ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
მ) საქმიანობასთან დაკავშირებული ლიცენზია, სერტიფიკატი ან ნებართვა;

5. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო მონაცემებს, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია, საკვალიფიკაციო მონაცემთა წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ ს.ბ.ბ.-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში ბანკის სახელზე **N000904742 „შესყიდვებთან დაკავშირებული სატენდერო მოსაკრებლის"** სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი **220101107.**

8. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკი მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5,საფოსტო ინდექსი 380005, ოთახი №124,125 ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია.

დედაქალაქი

ეს ერთი და სხვა მრავალი...

ბუკიას ბაღი განახლდა

(პირველი გვერდიდან)

ქვეყნის პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, აქ თავშეყრილ ადამიანებს ბევრჯერ შეხვედრია. ერთ-ერთი შეხვედრის დროს იგი შეპირებია პენსიონერებს, რომ მალე აქაურობას ნამდვილ დასასვენებელ ადგილად გადააქცევდა. ეს დროც დადგა.

— ბაღის ოფიციალური გახსნა გაზაფხულის მობრძანებას და ქალთა დღეს — 8 მარტს დავუკავშირეთ, — მითხრა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელმა ავთანდილ დავითაძემ, — მთავარია, რომ იყო პოლიტიკური ნება, მთელი ეს ტერიტორია შიგ ჩადგმული უსახური ჯიხურებით, გავათავისუფლეთ (ჯიხურები ეკუთვნოდა ვინმე ბაკურაძეს), ყველაფერი ეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პრინციპული მოთხოვნით, „მფლობელს“ ჩამოვართვით. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა იყო, მაგრამ ყველა ჯიხური დროებითია და ქალაქის, ხალხის, ბავშვების ინტერესებს უმტკივნეულოდ შევწირეთ.

— უპირველესად, ვინ გაგიწიათ დახმარება? გამგეობას ფინანსური შესაძლებლობა, ალბათ, შეზღუდული ექნებოდა.

— პირველი, ვისაც დახმარება ვთხოვე, ქალაქის მერი, ბატონი ვანო ზოდელავა იყო. მერი გვერდში ამოგვიდგა და ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს დაავალა სამუშაოების შესრულება. რის შესაძლებლობაც გვქონდა, მიზერული თანხა რაიონის გამგეობამაც გაიღო. ძალიან დაგვეხმარა იქვე არსებული კაფე-ბარ „ნიკალას“ ადმინისტრაცია. თბილისი ხომ მარტო ჩემი და თქვენი არ არის, ის ყველასია... აქ ხომ მოვრჩით სამუშაოს, ახლა ყაზბეგის ქუჩაზე (ყოფილ პავლოვზე) ვინაცვლებთ, „წითელ ბაღს“ რომ ეძახიან, ისიც თბილისელების სამსახურში უნდა ჩავაყენოთ. ბაღის ნახევარი ტერიტორია საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებს უკავია: კაცი რომ ბაღში სახლს ჩადგამს და ეზოს შემოიკავებს, მას უფლება აქვს თავისთავს თბილისელი უწოდოს და ამით იამაყოს კიდეც?

ყაზბეგის შემდეგ გეგმაში გვაქვს, ნუცუბიძის პლატოზე მოვაწყოთ ასეთივე დასასვენებელი და გასართობი ადგილი, ერთი შაბათობა უკვე გვქონდა, სამუშაოები მიმდინარეობს და იმედი მაქვს, რომ 26 მაისისთვის იქაურობა მზად იქნება. რომ დაინახეს, თითოეული თეთრი დანიშნულებისამებრ იხარჯებოდა, ბევრმა ბიზნესმენმა ხელი გამოიღო და დახმარება აღგვითქვა.

— თქვენ, ბატონო ავთანდილ, თბილისელი ბრძანდებით?

— არა, ბათუმში დავიბადე, იქაური ვარ, მაგრამ 25 წელია, რაც ბათუმიდან წამოვედი და თბილისი გულით შევიყვარე. ვისაც სურს შემეჯიბროს დედაქალაქის სიყვარულში...

— ბევრი პრობლემა გაქვთ მოსაგვარებელი?..

— უამრავი. უპირველესად, ქალაქი უნდა მოწესრიგდეს, დალაგდეს, ნაგვისგან და ჭუჭყისგან გაიწმინდოს, ამისათვის გამგეობის მუშაკებს 2 კვირაში ერთხელ, შაბათსა და კვირას, სანიტარიული დღე გვაქვს გამოცხადებული. ხალხთან ერთად, კორპუსებში მცხოვრებ მობინადრეებთან ერთად, ვასუფთავებთ, ვალაგებთ, ხომ ყველამ იცის, მეეზოვის სამსახური გაუქმებულია. ამიტომ სხვა არავინ მოვა, ჩვენს ნაგავს სანაგვეში არავინ ჩაყრის, ეს ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ.

მისასალმებელია ბატონ ვანო ზოდელავას ინიციატივა — კორპუსის მამასახლისის ინსტიტუტის შემოღების შესახებ. ის იქნება შუამავალი მოსახლეობასა და სახელმწიფო ადმინისტრაციას შორის. რაც მთავარია, ქალაქმა თავისი იერსახე უნდა დაიბრუნოს.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, კვირას, ბუკიას ბაღის გახსნის დღეს აქ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

აქ მოვიდნენ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი, საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატი გივი თარგამაძე, მერიის საკრებულოსა და ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის წარმომადგენლები.

მოსახლეობას მიესალმა ქალაქის მერი ვანო ზოდელავა. მერე, ხალხთან ერთად დაათვალიერა იქაურობა — ყვავილებით, ნარგავებით, ბუჩქებით კეთილმოწყობილი სათამაშო მოედნები, საქანელები, „აიწონა-დაიწონა“, პენსიონერთათვის განკუთვნილი მაგიდები, ძელსკამები, ცისფერი შადრევანი...

ხანდაზმულები **ალექსანდრე ტრაპაიძე, ომარ ყაჯრიშვილი, მირიან მამულაშვილი, გივი რობიტაშვილი,** რომლებიც აქ იყრიან თავს, მადლობას უხდიან მიხეილ სააკაშვილს ერთ-ერთი საპრეზიდენტო დანაპირების პირნათლად შესრულებისათვის.

ცივა, მარტის ქარს მაინც სხვანაირი სუსხი აქვს, თითქოს ძვალრბილში ატანს, მაგრამ არა უშავს, გულში სითბოა, გაზაფხული თავისას გაიტანს, მალე დათბება და აქაურობაც თბილისელებით აივსება, იქნება ჟრიამული და ბედნიერი სიცილ-კისკისი...

ეს ერთი და სხვა მრავალი, ჩემო თბილის-ქალაქო!

ნაზი იმნაიშვილი.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

განცხადება

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმის № 3ა\140-2004 წ. მასალები სს „მაუდის“ აქციონერების როზა კოღოშვილის, მაგული მანჯგალაძისა და სხვათა სარჩელისა გამო (სულ 251 აქციონერი) პირველი მოპასუხის სს „მაუდის“, მეორე მოპასუხის ფიზიკური პირის არკადი პატარკაციშვილისა და მესამე პირის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიმართ. დავის საგანი: მოსარჩელეები ითხოვენ „საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და სს „ლოგოვაზს“ შორის გაფორმებული 1998 წლის 10 ივნისის ხელშეკრულების გაუქმებას“.

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს სს „მაუდის“ აქციონერთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სასამართლო კოლეგია მიმართავს სს „მაუდის“ ყველა აქციონერს, რომელიც დაინტერესებულია საქმის საბოლოო შედეგით და ამცნობს მათ, რომ სს „მაუდის“ აქციონერს, რომელსაც აქვს სურვილი ჩაებას საქმის განხილვაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. თითოეულმა დაინტერესებულმა აქციონერმა უნდა მიმართოს განცხადების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის (თბილისი, გრ. რობაქის გამზ. 7ა) მოსამართლეს მიხეილ ბებიაშვილს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგია.

განცხადება

გაეროს განვითარების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი:

ბიზნეს ინკუბაციის მხარდაჭერა აცხადებს წინადადებების მიღებას ბიზნეს ინკუბატორისათვის ფართის საქირავებლად ორი წლით ქ. თბილისში. აღნიშნულ ფართში განთავსდებიან ახლად შექმნილი საწარმოები. ფართი უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

არანაკლებ 250 კვ. მ;

მდებარეობა ცენტრალური გამზირი ან მიმდებარე ტერიტორია;

შენობის I სართული, პრიორიტეტი მიეცემა ფართს, რომელსაც აქვს რამდენიმე დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან.

წინადადებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ფასი (თვეში/წელიწადში);

ელექტროგაყვანილობა\კომუნიკაციების არსებობა;

ფართის მისამართი;

იურიდიული პირის შემთხვევაში მფლობელი ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა;

ფართის ამჟამინდელი მდგომარეობის აღწერა;

შენობის საკუთრების დამადასტურებელი საბუთი;

შენობის სიტუაციური გეგმა.

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას გაეროს განვითარების პროგრამის ოფისში (ერისთავის ქ. 9) დაბეჭდილ კონვერტში 2004 წლის 19 მარტის სამუშაო დღის ბოლომდე.

UNDP Georgia
9, ERISTAVI ST.
TEL: 25 11 26/28/29
FAX: 25 02 71/72

კალათბურთი

როცა ფულია მთავარი



კალათბურთელ ვაჟთა XIII ეროვნული ჩემპიონატის IV წრის გუშინდელი მატჩების სიუჟეტი ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს — სუსტებმა დასაწყისში თითქოს გაიბრძოლეს, მაგრამ შემდეგ უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერეს ხელი.

თსუ — „ბასკო“ 73:99
(17:31, 18:16, 15:23, 23:29)

მასპინძლებს უკვე ორი თვეა უხელფასოდ უწევთ ოფლისღვრა. ჰოდა, რატომღა შეიწუხებენ ზედმეტად თავს — ჩვენში ხომ პრესტიჟსა და თავმოყვარეობაზე უფრო ფული ფასობს. ისე, თავიდან თორთლაძის ძალისხმევით სტუდენტები 11:6 დაწინაურდნენ, მაგრამ კეშელავას გააქტიურებას მის პარტნიორთა (ფარქვეშ — ბერძენიშვილი, ტოუჯანი, როდმუნგა, იმნაძე, უკანახაზზე — ბერიშვილები) აფეთქება და ბრძოლის ნაადრევად შეწყვეტა მოჰყვა.

რუსთავი — ქუთაისი 90:48
(17:15, 30:20, 20:6, 23:7)

ამ შეხვედრაში ეროვნული ჩემპიონატების ანტირეკორდი დაფიქსირდა — მესამე პერიოდის 8 წუთისა და 15 წამის განმავლობაში რიონისპირელებმა ქულის მოპოვებაც კი ვერ შეძლეს. არადა, საწყისი მეოთხედი უშეღავათო პაექრობას გვპირდებოდა — პირტახიამ და შანიძემ მოსვენება დაუკარგეს მეტოქეს. გადამწყვეტი მეორე პერიოდის ბოლო წუთები აღმოჩნდა, როცა ნარსიამ პირითი ხაზიდან ბურთის თამაშში შემოტანისას რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებულ ქებას ჯიმშელეიშვილი, ტყეშელაშვილი, ბერუაშვილი და არწივიძე იმსახურებენ.

13 მარტს ითამაშებენ „მაქაბი“ — „დინამო“ (15 საათზე), ქუთაისი — სსუ (17 საათზე, ვერის ბაღში) და „ბასკო“ — რუსთავი (17 საათზე, ბათუმში).

გია პლატონიშვილი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ფეხბურთი

ჩაო, „იუვე“

უკანასკნელი ოთხი სეზონის განმავლობაში ლა-კორუნიას „დეპორტივო“ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტისათვის ნამდვილ კიბოდ იქცა — შვიდი შეხვედრიდან „იუვენტუსმა“ ესპანელებს მხოლოდ ერთხელ მოუგო. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა: „ბებერი ქალბატონი“ შინ საპასუხო მერვედფინალურ რაუნდშიც 0:1 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა.

ტრავმირებული ტრეზეგეს არყოფნას მატჩის დებიუტში კიდევ უფრო მძიმე დანაკლისი დაემატა — სათამაშო სიტუაციაში დელ პიერო დაშავდა და თვითონ მოითხოვა შეცვლა. არ გასულა ორიოდე წუთი და მეხიც გავარდა — პანდიანი იოლად გაუსწორდა და ფერარა-ლეგროტალიეს ტანდემს და „ცაციათი“ მასპინძელთა იმედები დაასამარა.

არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები „ოლდ ტრაფორდზე“, სადაც „მანჩესტერი“ დისკვალიფიცირებული კაპიტნის როი კინის, აგრეთვე, სერ ალექს ფერგიუსონის მიერ რატომღაც სათადარიგოთა სკამზე განწესებული საჰას (იგი მინდორზე მეორე ტაიმში გამოჩნდა) გარეშე დაუხვდა „პორტუს“. ყველაფრის მიუხედავად, ბრიტანელებმა უკვე 32-ე წუთზე გაიტანეს სასურველი გოლი (პირველი მატჩი 1:2) — ოშის ჩინებულ ფლანგურ გარღვევას სქოულზის ზუსტი თავური მოჰყვა — 1:0. ამ დროს პირინეელები დაცვის ბურჯის ჟორჟე კოშტას გარეშე იყვნენ დარჩენილნი, რომელსაც კუნთი გაუწყდა. მალე სქოულზმა კიდევ ერთხელ მოუგო დუელი ვიტორ ბაიას, მაგრამ რუსმა მსაჯმა ვალენტინ ივანოვმა თანამემამულე თანაშემწის ენიუტინის სიგნალს დაუჯერა და არარსებული თამაშგარე მდგომარეობა დანიშნა. შესვენების შემდეგ სტუმრები სახიფათოდ იკბინებოდნენ, მაგრამ ღრმა ჭრილობამდე საქმის მიყვანას კარგა ხანს ვერ ახერხებდნენ. და მაინც, კვანძი ბოლო წუთზე გაიხსნა — ივანოვმა მაკარტისთან საჰაერო ბრძოლაში ფილ ნევილი დააჯარიმა, დაზარალებულის გასროლა უხეიროდ მოიგერია ჰოვარდმა და კოშტინიამ ანგარიშში გაათანაბრა — 1:1.

მეტოქის მინდვრებზე ორი კვირის წინათ მოპოვებულმა გამარჯვებებმა განსაზღვრა დანარჩენი ბურთაობების ბედი. კერძოდ, „ჩელსი“ მშვიდად იგერიებდა „შტუტგარტის“ უმარილო გამოხდომებს და უნდა მოეგო კიდეც, მუტუს (ორჯერ) და გრონკიაერს (ძელი) რომ არ გაეფლანგათ ბოლო წუთებზე შექმნილი ხელსაყრელი მომენტები — 0:0, „ლიონმა“ კი ამჯერადაც 1:0 სძლია „სოსიედადს“ (ქუნინიო).

გია პლატონიშვილი.

ჭიდაობა

მინსკის საერთაშორისო ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართა საქართველოს სამბოს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა სამბოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, მოსკოველი მიხეილ ტიხომიროვი. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს, რომელიც რესტორან „ფორტუნაში“ ჩავიწერე.

პრეზიდენტმა გვითამადა კიდეც...

— უკანასკნელ წლებში თქვენი ფალავნები ნაკლები წარმატებით გამოდიან ევროპისა და მსოფლიოს კალენდარულ ჩემპიონატებზე, — გვითხრა მან, — თუმცა იმასაც შეგახსენებთ, რომ სამბოს ქართული საჭიდაო სკოლა ყოველთვის მოწინავე იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამის შესახებ ამ ყრილობაზე მოყვანილი ციფრები მეტყველებენ. ბოლო 12 წლის განმავლობაში საქართველოს მოჭიდავეებმა ოფიციალურ ჩემპიონატებში 379 მედალი მოიპოვეს. ევროპის პირველობებზე საქართველოს წარგზავნილებმა 50 ოქროს, 38 ვერცხლის და 55 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. მათ შორის დიდების მონაგარი ასეთია: 8 ოქროს, 12 ვერცხლის და 34 ბრინჯაოს მედალი. საგულისხმოა საქართველოს სამბისტთა მიღწევები მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

1997 წელს თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ოლეგ იაძის ხელმძღვანელობით გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს სამბისტთა ბოლო წლებში არადამაკმაყოფილებელი გამოსვლა დროებითი მოვლენაა და, იმედია, მდგომარეობა მალე გამოსწორდება.

— რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი?

— ამის საფუძველს უპირველესად მაძლევენ ის პატრიოტი ბიზნესმენები, რომლებსაც გულთან ახლოს მიაქვთ ქართული სპორტის პრობლემები. დიდი იმედი მაქვს ბატონ ელგუჯა ბუტეიშვილისა, რომელიც, ალბათ, მოკლე პერიოდში სათავეში ჩაუდგება ჭიდაობა სამბოს ფედერაციას.

— გაუთავებელი დებატები მიმდინარეობს სამბოს ოლიმპიურ ოჯახში გაწევრების შესახებ. თქვენ რას გვეტყვით? ნუთუ სამბოს ამ საუკუნეში მაინც არ ეღირსება ოლიმპიური აღიარება?

— გასულ საუკუნეში სამბოს სახეობას ფილაში უპირებდნენ დაბრუნებას, რამაც ჩვენი პროტესტი გამოიწვია. ეს განზრახვაც ჩაიშალა. სამბო ყოველთვის დამოუკიდებელი ფედერაცია უნდა იყოს, თუ გვსურს, რომ იგი ოდესმე შევიდეს ოლიმპიურ ოჯახში. სანუკვარი მიზნის მისაღწევად ჩვენი ჭიდაობა პოპულარული უნდა გახდეს აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, აზიისა და ავსტრალიის კონტინენტებზე. უკვე ჩამოყალიბდა სამბოს ფედერაციები მექსიკაში, ამერიკაში, კანადაში, ეკვადორში და სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ დიდ სახელმწიფოში. 2005 წელს დუისბურგში (გერმანია) გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საგანგებო სხდომა, რომელმაც უნდა განიხილოს საკითხი, თუ სად, რომელ ქვეყანაში მოეწყობა 2012 წლის ზაფხულის XXX საიუბილეო ოლიმპიური თამაშები. როგორც იცით, რუსეთმა სურვილი გამოთქვა ამ ოლიმპიადის მასპინძლობაზე და საკმაოდ სერიოზული პრეტენზიაც გააჩნია. თუ ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ სოკ-ის პრეზიდენტს, ბატონ ჟაკ როგს ვთხოვთ, რომ სამბო 2012 წლის ოლიმპიადის წევრი გახდეს.

— თქვენი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი წლების განმავლობაში გატაცებულია სამბოთი, ნუთუ მას არ ძალუძს დაგეხმაროთ?

— 2004 წლის 14 მარტს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. დიდი სურვილი მაქვს, რომ პუტინი კიდევ ერთი ვადით აირჩიონ ქვეყნის მეთაურის თანამდებობაზე. პრეზიდენტთან საკმაოდ ახლო კავშირი მაქვს. ახლახან მას რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო ტიტული მივანიჭეთ სამბოში. ვლადიმერ პუტინის ერთმა მოსწავლემ (გვარს ვერ ვიგონებ), რომელმაც თბილისის მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონატზე მეორედ მოიპოვა ოქროს მედალი, თავის მწვრთნელად სწორედ პუტინი დაასახელა, რის გამოც ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს ეს წოდება მივანიჭეთ.

— თქვენ გასაოცარი თამადობაც შეგძლებიათ. ქართული სუფრის ასეთ მაღალ დონეზე წაყვანა სად ისწავლეთ?

— წლების განმავლობაში ქართულ მოჭიდავეებთან ვტრიალებ. მსოფლიოს ყველა კონტინენტზეა ცნობილი დალოცვილი ქართული სუფრა და თქვენებური ბრძენი თამადა. რესტორანში ისევ ოლეგ იაძე მეხმარებოდა. საჭირო მითითებებს სხვებიც არ იშურებდნენ...

ესაუბრა
შალვა ძირია.

სურათზე: მიხეილ ტიხომიროვი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ცინცხალი ამბები

ბუშინში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც გააუქმა ბევრი უწყება, მათ შორის სპორტის სახელმწიფო კომიტეტი. როგორც მისმა უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ფეტისოვმა განაცხადა, უახლოეს დღეებში დაასახელებენ ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ფედერალური სააგენტოს ახალ ხელმძღვანელს. ფეტისოვის განცხადებით, ახალ სააგენტოს უფრო მაღალი სტატუსი ექნება, ვიდრე გაუქმებულ სახელმწიფო კომიტეტს.



ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი, რომელმაც ამ დღეებში გაიმარჯვა კოსტა-დუ-სოპის ტურნირზე, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გამოაცხადა თებერვლის საუკეთესო ჩოგბურთელად. გასული თვის „ამომავალ ვარსკვლავად“ აღიარეს მარსელის ტურნირის ფინალისტი, შვედი რობინ სედერლინგი.

ყოველი მხრიდან

დედამიწის გარშემო — სარეკორდო დროში

ფრანგმა მეზღვაურმა ჟან-ლიუკ ვან დენ ხეედემ მონოკორპუსიანი ხომალდით Adrien **ბოლოს და ბოლოს დაამხო მსოფლიო რეკორდი დედამიწის გარშემო მარტოდმარტოდ შეუჩერებელ რბოლაში, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ძლიერი ქარის პირობებში. ეს მისთვის, 58 წლის შკიპერისათვის მეოთხე ცდა იყო. მან მთელი მარშრუტი 122 დღეში, 14 საათსა, 3 წუთსა და 49 წამში გაცურა.**

ამით ჟან-ლიუკმა დაამხო თანამემამულის ფილიპ მონეს ადრინდელი რეკორდი, რომელიც მან 2000 წლის ივნისში დაამყარა, თანაც მას 29 დღით, 5 საათით, 50 წუთითა და 47 წამით გაუსწრო.

ნოკაუტი... 8 წლის დაყოვნებით

8 წლის შესვენების შემდეგ დაბრუნდა დიდ რინგზე მძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ამერიკელი ბრიუს სელდონი, რაც ძალზე ძვირად დაუჯდა მის თანამემამულეს ოტის ტისდეილს, რომელიც სელდონმა ნოკაუტში მესამე რაუნდში „გაუშვა“.

უკანასკნელად ბრიუსი დიდ რინგზე 1996 წელს გამოვიდა და [illegible] „მსხვერპლი“ გახდა, რითაც WBA ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის [illegible]. ახალი, წარმატებული „დებიუტის“ შემდეგ ბრიუსმა განაცხადა, რომ სამაგიერო უნდა გადაუხადოს „რკინის მაიკს“. ამისთვის იგი ყოველთვიურად აპირებს ბრძოლის გამართვას, რათა წლის ბოლოსთვის აღიდგინოს ტაისონთან ორთაბრძოლისათვის საჭირო ფორმა.

* * *

როგორც ცნობილი გახდა, დიდ კრივში დაბრუნებას აპირებს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონიც მძიმე წონაში, ამერიკელი ევენდერ ჰოლიფილდი. იგი კვლავ მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონობაზე ოცნებობს.



როგორც თავად მოკრივემ განაცხადა, მისი მორიგი ორთაბრძოლა ზაფხულში ან IBF ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან კრის ბერდთან შედგება, ანდა WBA ვერსიით სარტყლის მფლობელთან ჯონ რუისთან (მას ჰოლიფილდი უკვე სამჯერ შეხვდა).

მარტის დიდი ბრძოლები

[illegible] ჯონსონისა და ხესუეს ჩავესის დაპირისპირება, რომელიც განსაკუთრებული, უკომპრომისო ორთაბრძოლით გამოირჩეოდა. პირველ პაექრობაში ჯონსონმა ქულებით გაიმარჯვა და 79,4 კილოგრამამდე წონაში IBF ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მეორეში კი მორალესმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და თვის მთავარი მოკრივის წოდებაც დაიმსახურა.

არანაკლებ საინტერესო ბრძოლები მოგველის მარტშიც. 13 მარტს კრივის მსოფლიო „მექაში“ — ლას-ვეგასში გაიმართება ორი ამერიკელის — შეინ მოსლისა და უინკი რაიტის ბრძოლა, რითაც უნდა გადაწყდეს IBF ვერსიით მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონების საკითხი.

მარტის შეხვედრებიდან ასევე უნდა გამოვარჩიოთ კრივის ორი ვეტერანის ხულიო სესარ ჩავესისა (მექსიკა) და ფრენკი რანდელის (აშშ) ორთაბრძოლა. 1994 წელს რანდელმა პირველმა შეძლო ლეგენდარული მექსიკელის დამარცხება, ჩავესისათვის კი ეს ოთხმოცდამეათე ბრძოლა იყო. იმავე წელს გაიმართა მატჩ-რევანში, რაც ჩავესის გამარჯვებით დასრულდა.

მათ ახლა კვლავ გადაწყვიტეს ანგარიშის გასწორება. ვნახოთ, რა გამოვა 41 წლის ჩავესისა და 42 წლის რენდელის მოგვიანებული პაექრობიდან.

სურათზე: ხესუეს ჩავესისა და ერიკ მორალესის ორთაბრძოლა.

თუ ჯულია რობერტსს გადარებენ

მათ ერთმანეთს მას შემდეგ ადარებენ, რაც ეკრანებზე ძალზე პოპულარული ამერიკული ფილმი „ლამაზმანი“ გამოვიდა — მსოფლიო კინოს ვარსკვლავს ჯულია რობერტსს და რუსეთელ სიმაღლეზე მხტომელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ანა ჩიჩეროვას. „ჩვენ ზოგჯერ ერთმანეთში ვეშლებით, — იცინის ანა, — არც კი ვიცი, რატომ?

ამ ცოტა ხნის წინათ ანამ ძალზე გაბედული, მაგრამ ჩვენი დროისათვის მოდური ნაბიჯი გადადგა, არცთუ ეროტიკული სურათი გადაიღო ერთ-ერთი ჟურნალისათვის. „წინა ნომრებში ვნახე და ზოგიერთი ფოტოსურათის გამო შემრცხვა კიდევაც. ამ თვალსაზრისით ძალზე კონსერვატიული ვარ... როდესაც დამარწმუნეს, რომ ეროტიკა არ იქნებოდა, მხოლოდ მაშინ დავთანხმდი.

გადაღების დღეს ისეთი ამინდი იდგა, რომ გახდა კი არა, რაც შეიძლება, თბილად უნდა ჩაგეცვა. მაგრამ თავად „მოდელი“, მისივე თქმით, ამას თითქმის ვერ გრძნობდა, სამუშაომ ისე გაიტაცა, რომ არც კი შეუმჩნევია, რამდენ გრადუსს უჩვენებდა თერმომეტრი, წვიმდა თუ თოვდა.

გადაღებები მიაჩკოვოს აეროდრომზე მიმდინარეობდა. „მე თვითმფრინავის [illegible]

სპორტის რედაქცია

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ყოფილი აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დავით მამულაძე (მარცხნივ) და ყოფილი აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან დავითაძე.

მოგვაწოდა სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ამირან დავითაძემ.

ღიმილის დოზა

სუსტი სქესი ჩემი ყველაზე ძლიერი სისუსტეა.

* * *

თუ გსურს ცოლთან საერთო ენის გამონახვა, გადაყლაპე საკუთარი.

* * *

ცხოვრებაში გამოგადგებათ: თუ ძილის წინ დალევთ რძეს და დააყოლებთ კიტრს, თქვენი ფინური სანტექნიკა ძალიან მალე აგინაზღაურებთ გაწეულ ხარჯს.

* * *

— ბედი გაქვს სემიონიჩ! ორი ქალიშვილი უკვე გაათხოვე!

— ეგ კი... მაგრამ ჯერჯერობით ცოლი ვერავის შევაჩეჩე.

* * *

— დილით მაღვიძარას ზარის ხმა თოფის სროლასავით ჩამესმის.

— და უცებ წამოხტები ზეზე?

— არა, — თავს მოვიმკვდარუნებ.

* * *

საყოველთაოდ ცნობილია, რომ:

ამერიკელი კაცია, ამერიკანკა — ბილიარდის თამაში;

ვიეტნამელი კაცია, ვიეტნამკა — პლაჟის ფეხსაცმელი;

პოლონელი კაცია, პოლკა — ცეკვა;

რუსი კაცია, რუსკაია — არაყი.

და არის ერთადერთი გამონაკლისი — მოსკოველი კაცია, მოსკვიჩი — ვედრო ქანჭიკებით და ბოლტებით, რომელსაც თავი ავტომობილი ჰგონია.

* * *

სტუდენტი გამოცდაზე შევიდა:

— იცი?

— ვიცი.

— რა იცი?

— საგანი ვიცი.

— რომელი საგანი?

— რომელსაც გაბარებთ.

— რომელ საგანს მაბარებთ?

— რამდენს მეკითხებით, ჩემი ჩაჭრა გინდათ, არა?

* * *

შეკითხვა ტელეგადაცემას „გვეკითხებიან, ვუპასუხებთ:“ „ბოლო ათი წელიწადია, შემძულდნენ ებრაელები. მიპასუხეთ, შემიძლია თუ არა, შევიტანო სარჩელი მათ წინააღმდეგ ეროვნებათა შორის შუღლის აღძვრის ბრალდებით?“

* * *

მჟავდა ქმარი. წავიდა.

მერე მეორე ქმარი მყავდა. წავიდა... პირველ ქმართან. ახლა მესამე მყავს. არ ვიცი, ვისთან უნდა წავიდეს...

სხვისი კარიკატურა



ამბობენ, მართალია?



საგზაო პოლიციას ახალი პატრონი ჰყავს

ამბობენ, საქართველოს ავტოინსპექციას, შალვა ოგბაიძის გადადგომის შემდეგ „პატრონი“ არა ჰყავსო, მართალია?

„სრ“ კომენტარი: როგორც საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრიდან გვაცნობეს, საგზაო პოლიციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა გენერალ-მაიორი ემზარ საბანაძე. გუშინ საგზაო პოლიციას ახალი პატრონი მოევლინა — ვასილ მარგალიტაძე და იგი ჩვეულ რეჟიმში იმუშავებს.

სამშობლოს შორიდან ეალერსება

ამბობენ, რომ ჩვენი კოლეგა გიორგი მელუავა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმიანობსო, მართალია?

„სრ“ კორესპონდენტის განმარტებით, ეს ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. გიორგი მელუავა აშშ, ჯორჯიას შტატში საქმიანობს და სამშობლოს შორიდან ესიყვარულება. ამის დასტურია გ. მელუავას ლექსების წიგნი „მთვარის ფერწერა“, რომელიც ამას წინათ საქართველოში დაისტამბა, გამომცემელია მარიკა უზუნაშვილი. კრებულში შესულია სამშობლოში და აშშ დაწერილი ლექსები.

საქართველო ქარის რესურსებით მდიდარია

ამბობენ, მსოფლიოში ძლიერი ქვეყნები ქარის ენერგიას აქტიურად გამოიყენებენ.

„სრ“ კორესპონდენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამჟამად აშშ ქარის ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე 1700 მეგავატს აჭარბებს, გერმანიაში – 900, ინდოეთში – 900, დანიაში – 540, ჩინეთში – 430, მექსიკაში – 200, ჩილეში – 150 მეგავატს და ა. შ. საქართველოში ქარის ენერგია, ჯერჯერობით, მთლიანად გამოუყენებელია.

ერთად უნდა გადავიხადოთ?

ამბობენ, რომ 1 აპრილიდან თბილისში ერთ ქვითარში შეიტანენ დენის, გაზის და წყლის გადასახადს.

„სრ“ კომენტარი: თბილისის საკრებულო აპირებს მიიღოს გადაწყვეტილება, ერთ ქვითარში შეიტანონ მხოლოდ დენისა და წყლის გადასახადი.

რამდენად მოსახერხებელი იქნება ეს მოსახლეობისათვის, დრო გვიჩვენებს.

აყალმაყალი „ბარისახოში“

ამბობენ, თავდაცვის სამინისტროში შემავალი რაზმის „ბარისახოს“ 4 თანამშრომელი, რომლებიც ხევსურეთში მსახურობენ, სამსახურიდან გაათავისუფლესო.

როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გაარკვია, „ბარისახოში“ თანამშრომელთა ურთიერთშელაპარაკების და აყალმაყალის გამო მართლაც გაათავისუფლეს რაზმის უფროსი და მისი სამი თანამშრომელი.

სვანები — მადრიდში

ამბობენ, რომ ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ერთი ქუჩა დასახლებულია სვანებით, რომლებიც აქ ჩამოიყვანა და დაასაქმა დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთმა ავტორიტეტმა.

„სრ“ კომენტარი: ვერაფერს გეტყვით, შეგვიძლია მხოლოდ დაგიდასტუროთ, რომ მართლაც დადის ასეთი ხმები.

ეს რეფორმას ჰქვიხეთ

ამბობენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროში თანამშრომლების განახევრებას აპირებენ.

„სრ“ კომენტარი: ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამინისტროში დაწყებული რეფორმა თანამშრომელთა რაოდენობის არა მარტო განახევრებას, არამედ უფრო მეტად შემცირებასაც ითვალისწინებს.

წიგნის ფასი გაიზრდება?

ამბობენ, საქართველოში წიგნის ფასი კიდევ გაიზრდებაო, მართალია?

როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა წიგნის მაღაზია „საუნჯის“ დირექტორის მოთა ბერიძისგან შეიტყო, წიგნის ფასი დამოკიდებული იქნება წიგნის შინაარსზე, ქაღალდზე, პოლიგრაფიულ და მხატვრულ დონეზე.

წიგნის გამოცემა ძვირი ჯდება იმიტომ, რომ მაღალია თვითღირებულება. ამას ემატება მაღაზიის სავაჭრო დანამატი. გასულ წლებთან შედარებით წიგნი გაძვირდა. ყოველწლიურად შეიმჩნევა ისიც, რომ წიგნის ფასი, დაკლების მაგივრად იზრდება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში კი უფრო ძვირია წიგნი. იქ ხელფასებიც მაღალია, შესაბამისად წიგნის შეძენაც შესაძლებელია.

რადგან ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების დონე დაბალია, წიგნიც ამიტომ გვეჩვენება ძვირი.

თუ განერვიულდით, დაუკრეკეთ ტყეს!

ამბობენ, რომ პრესაში გამოჩნდა ინფორმაცია ტყეში დამონტაჟებული მობილური ტელეფონების შესახებ.

ჩვენი კომენტარი: მართლაც, ცნობილი ხდება, რომ ავსტრიაში სტრესის დასამარცხებლად ახალი მეთოდი დანერგეს. მძიმე სამუშაო დღის შემდეგ დაღლილ ადამიანს შეუძლია ტყეში დარეკოს და ბუნების ხმას მოუსმინოს. ამ მიზნით ქვეყნის სამხრეთის ტყეებში მობილურები დადგეს, რომლებიც ავტომატურად ირთვება და ტყის შრიალს და ბულბულების გალობას გასმენინებთ.

რუბრიკის მორიგე იბა ხაჭვაძე.

მ/წლის 1 აპრილს 12 საათზე შედგება სს „უნივერსალ სერვისის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. გასული წლის სამეურნეო ანგარიში;
2. ცვლილება მეთვალყურეთა საბჭოში;
3. აუდიტის არჩევა.

მისამართი: თბილისი, აგლაძის, 37.

სამეთვალყურეო საბჭო.

ქირავდება საოფისედ ან იყიდება სარემონტო, საერთო ფართობი 200 კვ/მეტრი ვაკეში, ატენის ქუჩა №3. პირველი სართული, ბელეტაჟი. ტელეფონი 23-03-12, გიგი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

გახსენება

დიმა ცანავა

გაზაფხულის მოახლოება ჩემთვის დიდი ტკივილია. 2001 წლის 13 მარტი, სასტიკი და დაუნდობელი. გლოვობდა შენი დიდი ოჯახი და დიდი სამეგობრო. თითქოსდა ცა ჩამოიქცაო. ჩემთან ერთად მარტიც ტიროდა.

მამი! შენი სიცოცხლის ფასად, საკუთარ სიცოცხლეს დავთმობდი. გაუსაძლისია უშენობა... იცოდე, რომ შენს სახელს დავიწყება მართლაც არ უწერია. ჯერჯერობით მე და ბაჩანა ბავშვური სუსტი მხრებით მძიმე და საპატიო ტვირთს ვეზიდებით. თუმცა დედას სამუდამოდ გაბზარულ გულს ვერ ვუმრთელებთ. ჩვენ სიხარული შენთან ერთად დავასაფლავეთ. გვზარავს უშენობის სინამდვილე შენს ულამაზეს კუთხეში, რომელიც შენ ასე საოცრად გიყვარდა.

გჯეროდეს, რომ შენს სახელს სიცოცხლის ბოლომდე გავუფრთხილდებით და მოვეფერებით.

13 მარტს შენს საფლავთან კიდევ ერთხელ მოვალთ, დაგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ შენს ლამაზ და სპეტაკ სულს.

შენი ზვანცა.

გახსენება

„იბერია-სპექტრი“... არ გამოსულა?

გასული საუკუნის ბოლო ათწლეული დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა საქართველოსთვის: ღვთისმშობლის წილხვედრმა ქვეყანამ კვლავ აღიდგინა დაკარგული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. თუმცა ეს უსისხლოდ და უმსხვერპლოდ არ მომხდარა, თავისუფლების მოპოვებით გამოწვეულ სიხარულს თანამოძმეებთან ერთად იზიარებდა ერის ღირსეული მოქალაქე, ჟურნალისტი ირაკლი გოცირიძე.

არიან ადამიანები, რომელთა სახელები ასოცირდებიან რაიმე მნიშვნელოვან მოვლენებთან, ან პიროვნებებთან.

ბატონი ირაკლის სახელი უკავშირდება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას და კლასიკოსი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის სახელს; პირველს — ცნობილი ჟურნალისტური გამოძიების, ხოლო მეორეს — ნათესაური შთამომავლობის გამო.

როგორც ხშირად ხდება საქართველოს ისტორიაში, 1991 წლის ბოლოს ქვეყნის შინაურმა და გარეშე მტრებმა ჩაშალეს სახელმწიფოებრივი მშენებლობა, ხოლო უზენაესი საბჭო აიძულეს ქვეყანა დაეტოვებინა. ეროვნულ მოძრაობას ჩამოაშორეს ჯერ მერაბ კოსტავა, მისი ფიზიკური ლიკვიდაციით, ხოლო შემდეგ დაღუპეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. სამხედრო კრიმინალური ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ დამკვიდრდა ფარული ტირანია, სამოქალაქო დაპირისპირება, პროგრესული ეროვნული ძალების დევნა, დემოკრატიული ღირებულებების ფალსიფიკაცია, სოციალური სიღატაკე, წარმოების დანგრევა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაშლა. საქართველო კრიმინალებისა და კორუფციაში ჩაფლული ჩინოვნიკების სათარეშო ასპარეზად გადაიქცა. გაჩნდა ფსევდოპატრიოტული პარტიები, ქვეყანა 1 მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა, რაც გენოციდის ტოლფასი მოვლენა გახდა. საზოგადოება უიმედობამ და შიშმა მოიცვა.

და სწორედ ამ დროს გააქტიურდა ბატონ ირაკლი გოცირიძის მიერ დაარსებული გაზეთი „იბერია-სპექტრი“, რომელიც ფაქტობრივად იყო ერთადერთი, ქვეყანაში არსებული ლეგალური ოპოზიციური გაზეთი, გაბედულად რომ ამხელდა უსამართლო რეჟიმს, უკანონობასა და განუკითხაობას.

ირაკლი გოცირიძე იყო ის საზოგადოებრივი მსჯავრმდებელი, რომელიც აშკარად დაუპირისპირდა და ამხილა ჯერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, თავდაცვის მინისტრი იაზოვი და 9 აპრილის ჯალათი გენერალი როდიონოვი თბილისში, მთავრობის სახლის წინ ჩატარებული ხოცვა-ჟლეტვისათვის.

1992 წლიდან ბატონი ირაკლი გოცირიძე გამოდის შევარდნაძის ხელისუფლების ძირითად ოპონენტად. „იბერია-სპექტრი“ იყო ის გაზეთი, რომლის ყოველ ნომერს დიდი მღელვარებითა და იმედის გრძნობით მოელოდნენ მართალი, ხელისუფლებისგან შეჭირვებული ადამიანები. ეს იყო მრავალწახნაგოვანი მედია, რომელშიც აისახებოდა არა მარტო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-სოციალური მოვლენები, არამედ ქვეყნის გარეთ განვითარებული ფაქტებიც. გაზეთი სისტემატურად აშუქებდა ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს თუ ამ მხარის ისტორიულ თემებს; მკითხველებს პერიოდულად აწვდიდა ცნობებს მართლმადიდებლური ეკლესიის კალენდარული თარიღების შესახებ და ა. შ.

„იბერია-სპექტრი“ სხვადასხვა დროს იხურებოდა, და ისევ გამოდიოდა. არაერთხელ მომისმენია, საგაზეთო ჯიხურებთან მდგომი მკითხველები რა მღელვარებითა და მოწიწების გრძნობით კითხულობდნენ გაზეთის ბედ-იღბალს, და ზოგჯერ მინახავს მათი გაწბილებული სახეებიც.

ბატონი ირაკლი უპრეტენზიო და ჩრდილში მდგომი კაცი გახლდათ. ამ მხრივ იგი მოგვაგონებდა ჩვენს სულკურთხეულ წინაპრებს — ექვთიმე თაყაიშვილს, პავლე ინგოროყვას...

აკაკი ბაქრაძეს აქვს ერთი შესანიშნავი ნარკვევი — „ზნეობრივი გმირისათვის“, რომელშიც ავტორი მიუთითებს, თუ რა ძნელია ზნეობრივი გმირის ხვედრი, რამეთუ იგი თანამედროვეთაგან ხშირად გაუგებარი და მიუღებელია, და წლებია საჭირო იმისთვის, რომ აშკარა გახდეს ზნეობრივი გმირის მიერ ჩადენილი ქმედება...

სწორედ ასეთი გმირის პროტოტიპი გახლდათ ირაკლი გოცირიძე.

ხელისუფლებამ არ აპატია დიდ მამულიშვილს სიმართლისა და ჭეშმარიტების პოზიციაზე დგომა. მას რამდენჯერმე ტყვიებით დაუცხრილეს საცხოვრებელი სახლი, გაზეთის რედაქცია. მოუკლეს ორი ვაჟი... დღეს კი იგი მათთან ერთად სამუდამო განსასვენებელშია...

კინოფილმ „მონანიების“ ეპიზოდია ერთი: მოხუცი ქალბატონი ეკითხება ახალგაზრდა ქალს: ტაძრამდე მიმიყვანსო ეს გზა?

მთელი ცხოვრების მანძილზე ეძებდა ნეტავ იგი ამ გზას?

არიან ადამიანები, რომელთათვისაც ამქვეყნიური საჭირბოროტო საკითხები და პრობლემები უმნიშვნელოა. ისინი „ცაში დაფრინავენ“, ...უშფოთველ-უდრტვინველნი, ... მცირედითაც კმაყოფილნი, ... ათი წლის შემდეგ ისევ ელოდებიან პირველი პრეზიდენტის დაბრუნებას...

ხალხში მათ უცნაურებს ეძახიან!

ალბათ, ერთ-ერთი მათგანი კიდევ გამოჩნდება საგაზეთო ჯიხურთან და მოკრძალებით იკითხავს: „იბერია-სპექტრი“... არ გამოსულა?..

ბიძინა ჭყონია.

ხსოვნა

მამია ანდღულაძე



ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი **მამია ანდღულაძე.**

ბატონი მამია 1920 წლის 10 აგვისტოს დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ წიფნარში. 1943 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. ახალგაზრდა ტექნოლოგმა ქუთაისის საკონსერვო ქარხანაში დაიწყო მუშაობა. შემდეგ ერთი წელიწადი იყო სამტრედიის საკონსერვო ქარხნის დირექტორი და მერე ისევ ქუთაისს დაუბრუნდა საწარმოს მთავარ ინჟინრად. 1963-71 წლებში ლაგოდეხის საკონსერვო ქარხნის დირექტორად გადაიყვანეს, სადაც სრულად გამოვლინდა მისი პროფესიონალიზმი და სამეურნეო მუშაკის ორგანიზატორული ნიჭი. 1971 წელს თბილისში გადმოჰყავთ საქკონსერვტრესტის მმართველის პირველ მოადგილედ. იყო ამ ორგანიზაციის მთავარი ინჟინერი, 1974-1978 წლებში მუშაობდა თბილისის საკონსერვო გაერთიანების მთავარ ინჟინრად, შემდეგ — 8 წლის განმავლობაში — საქსტანდარტის მთავარ სპეციალისტად. სიცოცხლის ბოლო წლებში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხარისხის ინსპექციის მთავარი სპეციალისტი იყო. საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს მიღებული ჰქონდა უმაღლესი ჯილდოები.

გარდაცვალების შემდეგ ადამიანი სახელს ტოვებს. ბატონმა მამია ანდღულაძემ საამაყო სახელიც დატოვა და უამრავი გამოსაჩენი და კეთილი საქმეც. საუკეთესო სპეციალისტი, განსწავლული, წიგნიერი, შეუდარებელი მამა, ბაბუა, უმწიკვლოდ განვლილი ცხოვრების გზა — აი, რითი ვამაყობთ დღეს მისი მეგობრები, ახლობლები, სამაგალითო ოჯახი — სამი შვილი, შვიდი შვილიშვილი და თოთხმეტი შვილთაშვილი.

იმის მიუხედავად, რომ მამია ანდღულაძემ ხანგრძლივი სიცოცხლით იცხოვრა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასე უეცრად გადასახლდებოდა ზეციურ საქართველოში, რადგან მას ახალგაზრდულად უძგერდა გული და მის არაჩვეულებრივ, ჰარმონიულ ოჯახში ბედნიერად ცხოვრობდა, ეფერებოდნენ, უფრთხილდებოდნენ, ესიყვარულებოდნენ...

იძინე მშვიდად, ჩვენო დაუვიწყარო მეგობარო. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან შენნაირი ნაღდი კაცები სიცოცხლეშივე იმკიან იმ სიყვარულსა და საყოველთაო პატივისცემას, რომელსაც დავიწყების ფერფლი ვერასდროს დაფარავს.

მეგობრები.

კოტე ზაქარაია

2 თებერვალს 71 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ღირსების ორდენის კავალერი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი **კოტე (ალექსანდრე) ზაქარაია.**

კოტე ზაქარაია დაიბადა 1933 წელს ქ. ოჩამჩირეში, მოსამსახურის ოჯახში. დედისნაადრევად გარდაცვალების შემდეგ, მისი აღზრდა ბებიამ, — მინიცა კალანდიამ იკისრა, რომელზეც კოტე უზომოდ იყო შეყვარებული.

1952 წელს, ქ. სოხუმის პირველი საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, კოტე ზაქარაია ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, წლების განმავლობაში მუშაობდა აფხაზეთის პროფსაბჭოს იურისტად, ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში, პარტიის საოლქო კომიტეტში, ქ. სოხუმის პროკურორად, ა/რ საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ და ქ. სოხუმის სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ, უკანასკნელი ოცდაათი წელი კი იყო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

იქ, სადაც ბატონ კოტეს უმუშავია, ყველგან საზოგადოების დიდ ნდობას და სიყვარულს იმსახურებდა თავისი ობიექტურობით და პრინციპულობით.

წავიდა ჩვენგან უნიჭიერესი კაცი, ოჯახზე, სამშობლოზე და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული, გამორჩეული იუმორის გრძნობით გამსჭვალული და თან წაიღო აუხდენელი ოცნება დროებით დაკარგულ აფხაზეთში დაბრუნებისა. ნათქვამია, კაცი მაშინ კვდება, როცა მას მომგონებელი არავინ ეყოლებაო.

ჩემო კოტე, გჯეროდეს, შენი ოჯახი, ახლო ნათესავები და მეგობრები არასოდეს დაგივიწყებენ და როცა ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში, შენს ნეშტს გადავასვენებთ საყვარელ სოხუმში და შენსავით სხვადასხვა ქალაქში ჩვენი მეგობრების მიმოფანტულ ძვლებს სოხუმის საძმო სასაფლაოზე ერთად მივუჩენთ ბინას მოძმეთა სისხლით მორწყულ მშობლიური აფხაზეთის მიწაზე.

ღმერთმა სასუფეველში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული.

მეგობრები: ღუდა აბსანძე, ტერენტი სულხანიშვილი, ირაკლი ცინცაძე, ჯონი ლატარია, გიორგი ქოიავა, კოკი სანაია, რეზო წორდვავა.



შვილები მალვინა, მადონა, ელეონორა, სიძეები მურთაზ მამისეიშვილი, ალეკო ქვანია, ვოვა ისელიძე, დები ზინა, ეთერი, შვილიშვილები ნინო, მაია, კოკა მამისეიშვილები, ირინე, მირანდა ქვანიები, სოფიკო, ნინო ისელიძეები, სიძეები სოსო კუხლაშვილი, კოკა გეგუჩაძე, ბექა ლაბაძე, ვატო ჩხენკელი, ირაკლი ჩოლობარგია, რძალი ნინო სიხარულიძე, შვილთაშვილები ქეთი, ირინე, ნინო, ნია, ანა, ელენე, ლიზა, სოფო, ელენე, ანა, ნიკუშა, ზუკა, იოანე, კატო, დისწულები დალი, მანონი, მიმოზა, იმბურგი, ზურიკო, მძახლები კლარა ბაქრაძე, ქენია ქვანია ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამია ისიდორეს ძე ანდღულაძე

პანაშვიდი 12, 13 III, 4 სთ. დაკრძალვა 14 III, 2 სთ. ალ. ყაზბეგის გამზირი №14 ა.

სააქციო საზოგადოება „ვარციხეჰესების კასკადის“ სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და შრომითი კოლექტივი თანაუგრძნობენ მურთაზ მამისეიშვილს სიმამრის

მამია ანდღულაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს უროლოგთა ასოციაცია და ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში ერთ-ერთი პირველი უროლოგი ქალი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ნათელა მზარეულიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო თანაუგრძნობს გიორგი და ზურაბ აბაშიძეებს დედის და ბებიის

თინათინ ფერაძე-აბაშიძის

გარდაცვალების გამო.

გოგუცა, მურმან გიორგაძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გრიგოლ კალანდარიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თითქმის ნატურიდან

მოპარული ინტერვიუ

ვერ გეტყვით, რომელ სამინისტროს ეკუთვნის შპს „ისვრიმი“, რომლის ხელმძღვანელთანაც ინტერვიუსთვის მივედი. მან თვალებით მანიშნა, დაბრძანდითო, თვითონ კი ტელეფონზე საუბარი გააგრძელა. მეტი რა გზა მქონდა, ბედს დავმორჩილდი და უნებლიეთ მათი საუბრის თანამონაწილე გავხდი.

— კაცო, გაიგეე, — ისმოდა ყურმილიდან მამაკაცის ჩახრინწული ხმა, — ირმა სოხაძე თურმე აჭარაზე სალაშქროდ ემზადება.

— ჰო, მასთან ერთად მაია ჯაბუა და ეთერ კაკულიაც ყოფილან, თანაც საკუთარი „სპეცნაზებით“.

— შენ იხუმრე, ეგრე კია და...

— სისულელეს ლაპარაკობ, — გული მოუვიდა „ისვრიმის“ დირექტორს, ირმა და მოლაშქრე?

— შენ სისულელე ეძახე, თავად ასლანმა თქვა.

— ატყუებენ, ძმაო, ატყუებენ, როდის იყო მომღერალი საომრად მიდიოდა?

— რა ვიცი, ტანკებს მიუძღვებაო.

— ხიხიხიი, — ჩაიხითხითა თანამოსაუბრემ, — ალბათ, „ოქტაგონი“ ტანკებად მოეჩვენათ.

— არც ის გაგიგია, ცირკთან მომუშავე ქალები მანჰეტენზე რომ გადაუყვანიათ?

— მერე, მაგათ მაგივრობას აქ ვინ გასწევს?

— ჩვენთან თურმე სამაგიეროდ ავტომატებს აყენებენ.

— ეგ ვიღამ გითხრა?

— ერთ-ერთ სერიოზულ გაზეთში წავიკითხე.

— ეტყობა, სერიოზულად იხუმრეს.

— მეც მასე ვიფიქრე. ავტომატები რომც დააყენონ, ხომ იცი ჩვენი „ყოჩების“ ამბავი, ვერ გამოიყენებენ და ტყუილუბრალოდ დაამტვრევენ.

— ნაღდი ხარ, — შეაქო „ისვრიმის“ თავკაცმა, — მარა, შენ მაგისთვის არ დამირეკავდი, რაღაცას მიმალავ.

— რას გიმალავ, შე კაცო, განა თავად არ გაგიგია?

— რა უნდა გამეგო?

— ახალი მინისტრი თურმე რეფორმების გატარებას აპირებს.

— არ დაიჯერო, ყველა ახალი მინისტრი ასე ამბობს, თავად რეფორმა კი ჯერ არავის უნახავს.

— ჰოდა, ახლა ნახავ!

— შენ რა, მემუქრები?

— მე კი არა, მინისტრი გემუქრება — მაგათი სტრუქტურა ზედმეტი რგოლია და უნდა გავაუქმოო.

— არაფერი გამოუვა, მე შპს „ისვრიმი“ ვარ და თითსაც ვერ დამაკარებს.

— იჰ, შენ მაგის ამბავი არ იცი, თუ მოინდომა, „ისვრიმი“ კი არა, გინდა „აზოტი“ იყავი.

— მასეთი პრინციპულია?

— აბა, ვარდების რევოლუციით მოსულია, ძმაბიჭობით კი არა.

— ოქტომბრის რევოლუციითაც იყვნენ მოსულები, მაგრამ ვერაფერი დამაკლეს. რამდენი მინისტრი მყავს გამოცვლილი, იცი? ამას წინათ ვითვლიდი და ვერაფრით ვერ დავითვალე. ეგენი მიდიან და მოდიან, მე კი ვრჩები.

— ახლა სხვა დროა, ძმაო, მაგ შენს „ისვრიმსა“ თუ „ქიპიტაურს“ აუქციონზე გაიტანენ და ყველაფერი ამით დამთავრდება.

— მერე, მე არაფერს მარგუნებენ?

— როგორ არა, დამსახურებულ პენსიაზე გაგიშვებენ.

— თოთხმეტლარიან პენსიაზე? მანამდე არაფერი ჭამონ, ვიდრე პენსია 300 ლარი არ გახდება, ფეხსაც არ მოვიცვლი.

— შენ თავად რომ გაგიყვანონ აუქციონზე, უარს იტყვი?

— ვითომ გავიყიდები?

— რატომაც არა, სოროსთან ჩაგიწყობ საქმეს, ერთ მილიონს მოგცემს და თავად 100 მილიონს გააკეთებს. ოღონდ მაილსის თანხმობა იქნება საჭირო.

— მაილსს მე თვითონ დაველაპარაკები, — თქვა გახარებულმა „ისვრიმის“ დირექტორმა, ყურმილი დადო და მომიბრუნდა:

— მაპატიეთ, საუბარი გამიგრძელდა და ყურადღება ვერ მოგაქციეთ.

— არა უშავს, — დავამშვიდე მე, — ინტერვიუ უკვე აღებული მაქვს.

— როგორ კაცო, მე მეგობარს ველაპარაკებოდი და შენ ინტერვიუ ვისგან აიღე?

— თქვენგან, — ვთქვი მე და კარისკენ გავემართე. რესპონდენტი გამომეკიდა, მაგრამ გამოვასწარი...

ოთარ ხუციშვილი.

რობერტ ღარიბაშვილი, ჯუმბერ ლეჟავა, ანდრო ზოდელავა, რამაზ აბაშიძე, დავით კაკაბაძე, კახაბერ შარტავა, ირაკლი გობეჯიშვილი, მამუკა გაჩეჩილაძე, სვიმონ მასხარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან და გულწრფელ თანადგომას უცხადებენ ეკა ეხვაიასა და რამაზ ჭანტურიას მამისა და სიმამრის

ელდარ ეხვაიას

გარდაცვალების გამო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნაზი გელაშვილს

ძმის

გარდაცვალების გამო.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.